In the early 1950s, Sukhumi Institute of Physics and Technology (SIPT) started to develop researches in physics and semiconductor technologies. Their origin was conditioned by the exigency of producing new native highly efficient materials – germanium and silicon for, rapidly developing semiconductor electronics. Initially, the works were conducted in cooperation with German specialists who had been released from the atomic project. As recollects Nikolaus Riehl after transfer to Sukhumi: “the work concerned to me belonged research in solid-state physics, as well as other researches associated to certain extent with chemistry... After

სა და სხვა, ქიმიის საკითხებთან ასე თუ ისე დაკავშირებულ კვლევებს... ორნახევარწლიანი კარანტინის შემდეგ როგორც იქნა დადგა ჩვენი გერმანიაში გამგზავრების დღეც. შესრულდა გენერალ ზავენიაგინის მიერ მოცემული პირობა – ორიდან სამ წლამდე [4]. აქ გერმანელი მეცნიერები საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად მუშაობდნენ სილიციუმისა და გერმანიუმის მონოკრისტალების მიღების ტექნოლოგიებისა და დანადგარების დამუშავებაზე ორ ლაბორატორიაში. ერთი მათგანი, რომელსაც ბ.პ. მიტრენინი ხელმძღვანელობდა იმყოფებოდა სინოპში, ხოლო მეორე-აგუძერაში ვ. ხაჩიშვილის ხელმძღვანელობით, სადაც იღებდნენ დნობისთვის საწყის მასალას. 1953 წლის ბოლოს სოხუმში დაბრუნდა იმ დროს აღიარებული ექსპერიმენტატორი, სტალინური პრემიის ლაურეატი შ. ბურდიაშვილი, რომელმაც გააგრძელა მუშაობა ბ.პ. მიტრენინის ლაბორატორიაში. უკვე, ერთი წლის შემდეგ, შ. ბურდიაშვილის მიერ მიღებული იქნა მონოკრისტალური გერმანიუმი მის მიერვე შექმნილ დანადგარზე, სადაც ტემპერატურული ნონასწორობისათვის, მონოკრისტალების ზრდის ტექნოლოგიურ პროცესებში პირველად, ტიგელი შიხტასთან ერთად ბრუნავდა მადედებლის ბრუნვის საპირისპიროდ. ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ შ. ბურდიაშვილი, ვ. ხაჩიშვილი, ნ. შამბა, ვ.კ. კოვირზინი, ბ.პ. მიტრენინი და სხვ., შეუდგა მონოკრისტალური სილიციუმის მიღების მეთოდების დამუშავებას.

1955 წელს გერმანელი სპეციალისტები დაბრუნდნენ სამშობლოში. სოხუმელი სპეციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით გაართვეს თავი სამუშაოებს. 1955 წლის მაისში სფტი-ში ჩატარდა ნახევარგამტარული სილიციუმის საკითხებზე პირველი საბჭოთა კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და ინსტიტუტები: „გირედმეტი“, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რადიოელექტრონიკის ინსტიტუტი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხარკოვის

two and a half years of our quarantine the day of our departure for Germany came at last. The term from two to three years promised by Zavenyagin was complied with” [4]. German scientists together with soviet experts worked on the development of technology and plant for producing silicon and germanium single crystals in two laboratories in Sinop under leadership of B.P. Mitrenin and in Agudzera, in the laboratory headed by V. Khachishvili, where the starting materials for smelting was produced. In the end of 1953, the Stalin Prize winner, Sh. Burdiashvili, having already gained the name of a skilled experimenter, returned to Sukhumi and started to work in the laboratory headed by B.P. Mitrenin. Already in two years, he produced single crystal of germanium on the plant designed thereby, where, in order to balance the temperature field, for the first time the crucible with charge was rotating in the direction opposite to the target rod rotation. A group composed of Sh.S. Burdiashvili, V. Khachishvili, N. Shamba, V.K. Kovirzina, B.P. Mitrenin and others, set out the development of techniques for producing silicon single crystal.

By 1955 German specialists left SIPT and returned home; however, to the credit of Sukhumi specialists, they continued jointly initiated research works and successfully finished them. The result of these works was that in the end of May 1955 the All-Union meeting on semiconducting silicon was held in SIPT. Among the meeting participants were the leading in this area institutes and enterprises of the USSR: GIREDMET (State Research and Design Institute of Rare Metal Industry), Institute of Metallurgy of the USSR Academy of Sciences, Leningrad Institute of Physics and Technology (LIPT) of the USSR Academy of Sciences, Kharkov Institute of Physics and Technology of the Ukrainian SSR Academy of Sciences, etc. This is how the meeting participant, researcher of LIPT, Dr. Sci., Professor Academician V.N. Ro-

ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი და სხვ. აი, როგორ იხსენებს ძირითად საკითხებს ამ კონფერენციის მონაწილე, ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომელი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ნ. რომანენკო სტატიაში, რომელიც მიეძღვნა საბჭოური სილიციუმის 50 წელს [5]: „ალბათ, მხოლოდ სოხუმის ინსტიტუტმა დაიწყო ამ პერიოდში კრისტალოგრაფიული საკითხების შესწავლა, რომელიც სილიციუმთან იყო დაკავშირებული. ამ ინსტიტუტის სილიციუმის ჯგუფის ხელმძღვანელის ბორის პეტრეს ძე მიტრენინის დამსახურება ასევე იმაშია, რომ უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით, სილიციუმის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრასთან ერთად პირველი კონფერენციის დამთავრების შემდეგ იმავდროულად, სსრკ-ში პირველად დაიწყო კვლევითი სამუშაოები Ge-Si მყარი ხსნარების შენადნობების მიღების ტექნოლოგიის დასამუშავებლად.


თითქმის იმავე დროს, Ge-Si მყარი ხსნარების მიღებაში ჩაერთო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი. სოხუმის ინსტიტუტში სანყისი მასალის მისაღებად იყენებდნენ იოდიდურ რეაქციას. დროთა განმავლობაში ისწავლეს ამ მეთოდით შედარებით დიდი მონოკრისტალური ნიმუშების მიღება“.

შემდეგ ვკითხულობთ: „მონოკრისტალების მისაღები დანადგარები, რომლებიც სოხუმში მზადდებოდა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ სხვა ორგანიზაციებში დამზადებული ანალოგიური დანადგარებისაგან. აღნიშნულის ორი მიზეზი არსებობდა: პირველი უკავშირდებოდა რთულ ტექნოლოგიებთან მუშაობის დიდ გამოცდილებას, მეორე კი იმ ფაქტს, რომ პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც სოხუმის ინსტიტუტში იხდიდნენ სარეპარაციო გადასახადს. ამ ჯგუფს გააჩნდა ტექნოლოგიური სამუშაოების განსხვავებული გამოცდილება და ტრადიცია. სწორედ გერმანელთა ჯგუფმა პირველად დააპროექტა უტიგელო ვერტიკალური ზონური დნობის დანადგარი

manenko remembers it in an article dedicated to the 50th anniversary of the Conference [5]: “Probably only Sukhumi Institute started research in silicon-related crystallographic problems in that period. The merit of the head of the Institute’s silicon group Boris Mitrenin consisted also in the fact that under his leadership within the scope of the silicon problem solution, almost right away after the end of the Conference, the first in the USSR researches in the techniques for producing solid solution alloys Ge-Si were initiated. Almost concurrently the Institute of Metallurgy of the USSR Academy of Sciences started to work on the Ge-Se solutions. To produce the starting materials, the iodide reaction was used at Sukhumi Institute. Eventually, these techniques were mastered to produce even relatively larger single-crystal samples”.


Further we read: “The growing plants designed and manufactured in Sukhumi significantly differed from those developed in other institutions. The reasons if it were two. The first: the Institute possessed a wide experience of working with complex technologies. The second reason: during the initial period of researches, they were performed by a group of German scientists being engaged in the Institute to work for reparation payments. The group also possessed other traditions of engineering work. It was exactly the German group that designed, in particular, a plant of vertical crucibles melting in the form of a traveling tubular vacuum chamber. The heater was naturally outside. By the moment of the Conference beginning the group had already returned to Germany, and to remember all the names of its members now seems to be impossible”.

“The Sukhumi group under the leadership of B.P. Mitrenin presented also reports on the research of crystallographic orientation of grains in ingots and measurements of physical properties of silicon polycrystals. The crystallographic research in those and next years was performed by N.A. Sham-



გრაფიტის გამაცხელებლიანი სილიციუმის მონოკრისტალის ამოსაწევი დანადგარის საერთო ხედი. სფტი-ს დამუშავება [6]

General view of the SIPT-developed plant for drawing silicon single crystals with a graphite resistance heater [6]



უტიგელო ზონური დნობის დანადგარის საერთო ხედი მაღალსიხშირული დენების გამათბობლით. სფტი-ს დამუშავება [7]

General view of the SIPT-developed plant for crucibles zone melting with heating of the rod with high-frequency currents [7]

გარეგამახურებლიანი მოძრავი მილი-სებრი ვაკუუმური კამერით. კონფერენციის დაწყებამდე ეს ჯგუფი უკვე დაბრუნებული იყო გერმანიაში, ასე რომ, მონაწილეების სახელების გახსენება ამჟამად მიძნელდება კიდევ. სოხუმის ჯგუფმა, რომელიც ბ.პ. მიტრენინის ხელმძღვანელობით მუშაობდა, წარმოადგინა ასევე მოხსენება, რომელიც ეხებოდა სხმულში მარცვლების კრისტალოგრაფიულ ორიენტაციისა და პოლიკრისტალური სილიციუმის ფიზიკური თვისებების გაზომვებს. კრისტალოგრაფიულ კვლევებს იმ წლებში და შემდგომში ატარებდა ნ.ა. შამბა, რომელიც შემდეგ დოქტორი გახდა. მასალების ფიზიკური თვისებების გაზომვები ტარდებოდა ი.დ. კირვალიძის ხელმძღვანელობით. სოხუმში იოდური სილიციუმის მიღებაზე მოხსენება გააკეთა ქიმიურ მეცნიერებათა კანდი-

ბა, the future doctor of sciences. Physical measurements of material properties were conducted under the leadership of I.D. Kirvalidze. A report on the production of iodide silicon in Sukhumi was made by Candidate of Chemical Sciences Inozemtseva. The n-type material could only be produced at the time from iodide silicon produced exclusively in Sukhumi. Further development of the silicon problem, which had been shaped in this purely research style in Sukhumi in the first year of work and completed by the Sukhumi Conference, lasted for another half a year. Further solution of the silicon problem required serious technological developments and making of industrial production. In this context, 1955-56 Sukhumi Institute advanced. The large amounts of starting material for melting were produced there...

დატმა ი.ა. ინოზემცევამ. იმ დროს n-ტიპის მასალის მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ სოხუმში მიღებული იოდიდური სილიციუმისგან. სილიციუმის საკითხის შემდგომი განვითარება წმინდა კვლევითი მიმართულებით, რომელიც მუშაობის პირველ წელს ჩამოყალიბდა და დასრულდა სოხუმის კონფერენციით, გაგრძელდა კიდევ დაახლოებით წელიწადნახევარს. სილიციუმის პრობლემის შემდგომი განვითარება მოითხოვდა სერიოზულ ტექნოლოგიურ დამუშავებებსა და ინდუსტრიული წარმოების შექმნას. ამ მხრივ 1955/56 წწ. დაწინაურდა სოხუმის ინსტიტუტი. აქ პირველად დაიწყო მასალების დნობისათვის საწყისი ნაშაღის დიდი რაოდენობით წარმოება. სოხუმშივე შეიქმნა ჩოხრალსკის მეთოდით სილიციუმის კრისტალების ამოზრდის პირველი დანადგარი, რომელსაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნდა.“ ეს დანადგარი დააპროექტა და შეიმუშავა შ. ბურდიაშვილმა. მანვე ამავე დანადგარზე 1956 წ., პირველმა სსრკ-ში მიიღო მონოკრისტალური სილიციუმი [6].

“ყველა მიღწევა სილიციუმის ტექნოლოგიაში, როგორც მასსოვს (იხსენებს ვ.ნ. რომანენკო [5]), ოფიციალურად გადაეცა „გირედმეტს“. სოხუმში დამუშავებული დანადგარი გახდა „რედმეტის“ სხვადასხვა სერიის დანადგარების წინამორბედი, რომლებიც შემდეგ „გირედმეტის“ საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა. სოხუმის ინსტიტუტმა შემდგომში ძალისხმევა ძირითადად წარმართა თერმოელექტრული მასალების, კერძოდ Ge-Si შენადნობების მიმართულებით. შემდგომში ამ დარგში მათ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს.“ პროფესორ ვ. რომანენკოს ფართო ციტირებას იმიტომ ვახდენთ, რომ ბოლო დროის მიმოხილვით სტატიებში, რომელიც ეძღვნება ნახევარგამტარული ტექნოლოგიების განვითარებას სსრკ-ში, სფტი-ს როლი ამ დარგის განვითარებაში ხშირად იგნორირებულია.

1958 წელს, კოსმოსური სივრცის ათვისების აუცილებლობასთან დაკავშირებით, ინსტიტუტს დაევალა ბირთვულ საწვავზე მომუშავე ენერგიის თერმოელექტრული გარდამქმნელის დამუშავება. ამ

The first plant for drawing silicon by the Chokhralsky method known for many advantages was designed in Sukhumi”. The said plant was developed and designed by Sh. Burdiashvili. It was the plant’s designer who in 1956 received single crystal of silicon for the first time in the USSR [6].

“All the starting developments of Sukhumi Institute on silicon technology were, as far as I know, recalls V.N. Romanenko [5]), were officially transferred to GIREDMET. The Sukhumi-developed plant served as a prototype of the first plants of the well-known series of REDMET plants of various numbers, which subsequently made in the design bureau of GIREDMET.

“Later on Sukhumi Institute focused the main efforts on thermoelectric materials, in particular Ge-Si alloys. Serious progress in this direction was made subsequently there”. Such wide citation of the recollections of Professor V.N. Romanenko was dictated by the following consideration: in the survey works on the history of development of semiconductor technology in the USSR the role of SIPT in this area was disregarded.

In 1958, in connection with the necessity of mastering outer space, the Institute was charged with a task of developing a thermoelectric energy transformer, run on nuclear fuel. The selection of SIPT for performing this task was conditioned by its successes and achievements in germanium-silicon technology.

In 1958-1964, devices and equipment for synthesis and study of solid alloys were developed and manufactured; high-performance thermoelectric materials were produced on the basis of Ge-Si; a technology for high-temperature (~1000° C) switching transfers was developed and high-temperature thermoelectric batteries and generators were made. Based on these works, headed by director of the Institute, Academician I.G.

ამოცანის შესრულების სფტი-ზე დაკისრება განაპირობა გერმანიუმ-სილიციუმის ტექნოლოგიაში მიღწეულმა წარმატებებმა.

1958-1964 წწ. სფტი-ში დამუშავდა და შეიქმნა ხელსაწყო-დანადგარები Ge-Si მყარი შენადნობების სინთეზისა და კვლევისათვის. Ge-Si-ის ფუძეზე დამზადდა მაღალეფექტური თერმოელექტრული მასალები, დამუშავდა მაღალი ტემპერატურის ($\sim 1000^{\circ}\text{C}$) კომპუტაციური გადასასვლელები და შეიქმნა მაღალტემპერატურული თერმოელექტრული ბატარეები და გენერატორები. ამ სამუშაოებზე დაყრდნობით 1964წ. ინსტიტუტმა, რომელსაც მაშინ ი. გვერდნითელი ხელმძღვანელობდა, ი.ვ. კურჩატოვის სახ. ატომური ენერგიის (აეი), პოდოლსკის სამეცნიერო-კვლევით (პნიტი) და ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის (ხფტი) ინსტიტუტებთან ერთობლივი თანამშრომლობით შექმნეს მსოფლიოში პირველი ბირთვული ენერგეტიკული დანადგარი (ბედ) ჩაშენებული თერმოელექტრული გენერატორით (თეგ) „რომაშკა“ სიმძლავრით ~ 500 ვტ. რეაქტორ-გარდამქმნელი „რომაშკა“ ამოყმედდა 1964 წლის 14 აგვისტოს და უწყვეტ რეჟიმში იმუშავა 15000 სთ. ამ დროის განმავლობაში განხორციელდა რეაქტორ-გარდამქმნელის მუშაობის რეჟიმების გამოცდის ფართო პროგრამა და ჩატარდა დანადგარის სხვადასხვა კვანძებისა და სამუშაო მახასიათებლების კვლევა.


ამ გამოცდებმა შესაძლებელი გახადა სისტემის თბოენერგეტიკული და ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა მუშაობის როგორც სტაციონარულ, ასევე არასტაციონარულ რეჟიმებში. დანადგარის დემონტაჟისას ჩატარდა მისი ყველა შემადგენელი ელემენტის ანალიზი. მიღებულმა შედეგებმა დაადასტურეს სისტემის მაღალი საიმედოობა და ძირითადი სამუშაო პარამეტრების სტაბილურობა. აღნიშნული სამუშაოების შედეგები მოხსენდა ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების 1964 წლის ჟენევის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელმაც მსოფლიოს გამოჩენილი სპეციალისტების უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

Gverdtsiteli, the first in the world nuclear power plant (NPP) with a built-in thermoelectric generator “Romashka” (TEG), of $\sim 500\text{W}$ capacity was built at the Institute.

The reactor-transformer “Romashka” was consummated and worked without interruptions about 1,500 hours. During this time, a wide test program of the reactor-transformer operation modes and a comprehensive study of the different plant units and their operating characteristics were carried out. These studies helped investigate the thermoelectric and physical characteristics of the system under both the steady-state and unsteady operating modes. Upon dismantling of the plant an analysis of all its elements was made. The obtained results confirmed a high reliability degree of the system and stability of the main operating parameters.

The results of these works were reported at the 1964 International Symposium on Peaceful Utilization of Atomic Energy, having provoked great interest and impression of the world specialists.

Thermoelectric instrument-making at SIPT developed in two directions. First – building of powerful TEGs of space destination in the composition of the NPP and their serial production; second – the making of TEGs of average and low capacity running on iso-




ბირთვული ენერგეტიკული დანადგარი
“რომაშკა”

NPP “Romashka”

თერმოელექტრული ხელსაწყოთმშენებლობა სფტი-ში ვითარდებოდა ორი მიმართულებით. პირველი – კოსმოსური დანიშნულების ბირთვული ენერგეტიკული დანადგარის (ბედ) შემადგენელი დიდი სიმძლავრის თეგ-ის შექმნა; მეორე – რადიოიზოტოპურ სათბობზე მომუშავე საშუალო და მცირე სიმძლავრის თეგების შექმნა ძნელადმისაწვდომ ადგილებსა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოსაყენებლად. სფტი-ში 1965-1967 წ. დამუშავდა კ. ბარბაქაძის მიერ საშუალო ტემპერატურული მასალების $PbTe(n)$ და $GeBiTe$ დაბალი ელექტრული წინააღმდეგობის კომპუტაციური გადასვლები, ვ. კარჟავინისა და ფ. ბასარიას მიერ ანტისუბლიმაციური დანაფარები და მაღალი ეფექტურობის თერმოელექტური ბატარეის ორკასკადიანი თეგის შესაქმნელად. 1968 წელს სფტი-ში დასრულდა 1 კოსმოსური დანიშნულების 2,8 კვტ სიმძლავრის ორკასკადიანი თეგის „БУК“ (БЭС-5) შექმნის სამუშაოები. პირველი კასკადი მუშაობდა $715-530^{\circ}C$ ტემ-

პეიზი ფუელისათვის სივრცეში უდრავს და სხვადასხვა სექტორების ეკონომიკისათვის. 1965-1967 წ. სფტი-ში შეიქმნა ცნობილი საშუალო ტემპერატურის მასალების $PbTe(n)$ და $GeBiTe(p)$ კომუტაციური კავშირით დაბალი ელექტრული წინააღმდეგობისა და მაღალი თერმალური გამტარუნარიანობის მქონე თერმოელექტური ბატარეის პროექტი, რომელიც შეიქმნა კ. ბარბაქაძის მიერ. 1968 წ. სფტი-ში დასრულდა 1 კოსმოსური დანიშნულების 2,8 კვტ სიმძლავრის ორკასკადიანი თერმოელექტური ბატარეის „БУК“ (БЭС-5) შექმნის სამუშაოები. პირველი კასკადი მუშაობდა $715-530^{\circ}C$ ტემ-



ბირთვული ენერგეტიკული დანადგარ „БУК“-ის გამოსატანი
თერმოელექტრული გენერატორი

External panel for TEG – „БУК“ intended for operation in the composition
of the NPP on spacecraft

პერატურულ დიაპაზონში. მეორე კასკადის მუშაობის ტემპერატურული ინტერვალი შეადგენდა 530-350°C. „რომაში-საგან“ განსხვავებით აღნიშნული თეგი დამზადდა გადასატანი გარდამქმნელი პანელით. ცხელ ზონაში სითბოს მიწოდება ბირთვული ენერგეტიკული დანადგარიდან ხორციელდებოდა Li-K-იანი სითბომატარებლით, რითაც პრაქტიკულად გამოირიცხა დასხივების გავლენა თეგის საკონსტრუქციო კვანძზე.

მრავალწლიანი ყოველმხრივი გამოცდების შემდეგ 1975 წელს „БҮК“ ჩაუშვეს სერიულ წარმოებაში და 30-ზე მეტი ეგზემპლარი წარმატებით მუშაობდა კოსმოსურ აპარატებში სერიით „კოსმოსი“. აღნიშნული სამუშაოებისათვის ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლები დაჯილდოვდნენ სახელმწიფო ჯილდოებით, ხოლო სამუშაოთა ხელმძღვანელმა ი.გ. გვერდნითელმა 1974 წელს მიიღო სსრკ-ის სახელმწიფო პრემია „თერმოელექტრული გარდამქმნელიანი ბირთვულ-ენერგეტიკული დანადგარის“ შექმნისათვის. 1972 წელს სფტი-ში დამუშავდა დაბალტემპერატურული თერმოელექტრული მასალების ($n\text{-Bi}_2\text{Te}_3\text{-Bi}_2\text{Se}_3$ და $p\text{-Bi}_2\text{Te}_3\text{-Sb}_2\text{Te}_3$) მიღების ტექნოლოგია და მათ საფუძველზე დამზადდა თერმოელექტრული ბატარეები. აღნიშნულით მნიშვნელოვნად გაფართოვდა სფტი-ში დამზადებული თეგ-ების ნომენკლატურა, რომელიც უკვე მოიცავდა სრულ ტემპერატურულ დიაპაზონს. 1975 წელს სფტი-ში შეიქმნა მთელი რიგი თეგები („Лимон“, „Бэ́та“, „Ре́ут“, „Го́нг“, „Го́рн“ და სხვ.), რომლებიც მუშაობდნენ რადიოიზოტოპურ სანვავზე ტემპერატურის სხვადასხვა დიაპაზონში. გამოსავალი სიმძლავრე შეადგენდა 8-70 ვტ 10 წელზე მეტი რესურსით.

ყველა ზემოთაღნიშნული თეგი იყო სხვადასხვა დანიშნულების, ისინი უზრუნველყოფდნენ ობიექტებს კოსმოსში, ხმელეთსა და ზღვაში; გამოიყენებოდა როგორც კვების ავტონომიური სისტემები ავტომატურ სანავიგაციო, რადიომეტროლოგიურ და სამეცნიერო-კვლევით ობიექტებზე მთლიანი რესურ-

structural units of the TEG.

After long-term and comprehensive studies “BUK” was put in the serial production in 1975 and more than 30 specimens were successfully operating on the “Cosmos” series spacecraft. For these works the leading researchers of the Institute were decorated with government awards, while the head of works I.G. Gverdtsiteli became a winner of the State Prize of the USSR in 1974 for “construction of a nuclear power plant with a thermoelectric energy transformer”.

In 1972, a technology for producing low-temperature thermoelectric materials (Bi_2Te_3 – Bi_2Se_3 – n-type and Bi_2Te_3 – Sb_2Te_3 – p-type) and manufacturing thermoelectric batteries on their basis was developed at SIPT. This significantly extended the range of TEGs produced at SIPT, which had already covered the whole temperature span. In 1975, a whole number of TEGs (“Lemon”, “Beta”, “Reut”, “Gong”, “Gorn”, etc.) running on radioisotope fuel, at different temperature ranges, with the output electric power of 8-70 watts and a more than 10-year reserve was manufactured.

All the above-listed TEGs were of different destination and they supported the appropriate objects in space, on land and at sea, as autonomous feed systems for automatic navigation, radio-metrological and research objects/facilities during the whole reserve period. During the same period, the serial production of TEG “Rhythm” for a radioisotope cardiac stimulator, with the capacity of 0.23 watts, started at SIPT. In the 80s SIPT was engaged in the works on low-power (micro-watt) film-type TEGs “Hermes”, “Signal”, etc. for the use in microelectronics, medicine and military area.

In 1989, a modernized TEG “BUK” with the doubled operation reserve at the expense of improved switching parameters of thermocouples was completed and put into serial

სის განმავლობაში. ოთხმოციან წლებში სრულდებოდა სამუშაოები ფირების ტიპის თევების „Гермес“, „Сигнал“ და სხვათა შესაქმნელად მიკროელექტრონიკაში, მედიცინასა და სამხედრო დარგში გამოსაყენებლად.

1989 წელს ინსტიტუტში დასრულდა თევ „БУК“-ის მოდერნიზაცია. თერმოელემენტების კომუტაციის პარამეტრების გაუმჯობესებით ორჯერ გაიზარდა მისი მუშაობის რესურსი და გაშვებული იქნა სერიულ წარმოებაში. თერმოელექტრულ ხელსაწყოთმშენებლობაში სფტი-ში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ბირთვული ენერგეტიკული გენერატორის შემადგენელი თევ „Гамма-2“-ის დამუშავება წყალში დიდ სიღრმეზე სამუშაოდ, რომელიც გამოიყენებოდა ინსტიტუტში დამუშავებულ რგოლისებურ თერმოელექტრულ მოდულში. ოთხმოციანი წლების ბოლოს სფტი სხვა ორგანიზაციებთან ერთად შეუდგა პროგრამის დამუშავებას, რაც წარმოადგენდა ამერიკული SP-100 პროგრამის ანალოგს. პროგრამა ითვალისწინებდა 100 კვ სიმძლავრისა და 7 წლის რესურსის მქონე თევის შექმნას. აღნიშნული მიმართულებით შეიქმნა ბლოკური ტიპის თევი „Глория“, რომლის ტირაჟირებით შესაძლებელია ნებისმიერი სიმძლავრის მიღება. კონვენსიასთან დაკავშირებით ეს სამუშაოები შეწყდა.

80-იანი წლების ბოლოს სფტი-ში დაიწყო ეკოლოგიურად სუფთა უფრეონო სამაცივრო ტექნოლოგიის სამუშაოები, რაც ეფუძნებოდა პელტიეს უკუეფექტს დაბალტემპერატურული მაღალეფექტური თევების გამოყენებით. ინსტიტუტში შექმნილი იყო მიკროგამაცივებელი კვანძები ($5 \times 10 \times 10 \text{ мм}^3$), რომლებიც შედგებოდა ასი თერმოელემენტისაგან და უზრუნველყოფდა სპეციალური დანიშნულების მონყობილობებში ფოტოდეტექტორების ტემპერატურის სტაბილიზაციას (კ. ბარბაქაძე, ი. შევჩენკო, ვ. სერჟანტოვი, პ. ინგლიზიანი და ა. სოკოლოვი).

სფტი-ში თერმოელექტრული ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებასა და ფორმირებაში სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით სხვა-

production at the Institute. In thermoelectric instrument-making, a significant stage at SIPT was the development of “Gamma” TEGs in the composition of NPPs for operation under deep-water conditions, in which the thermoelectric ring-type module developed at the Institute was used. In the late 80s, SIPT in collaboration with other institutions set out the development of a program similar to the American SP-100, which consisted in the construction of a TEG with the operation capacity of ~100 kilowatts and ~7-year endurance. The works in this direction were initiated: a block-type TEG “Gloria” capable of generating any powers upon replication was constructed. The works were stopped because of conversion.

In the late 1980s, SIPT initiated the works on designing an environmentally safe refrigeration technique (without Freon) based on the Pelté’s converse effect with the application of high-performance low-temperature TEGs. Micro-refrigeration units ($5 \times 10 \times 10 \text{ mm}^3$), containing up to 100 thermocouples providing temperature stabilization of photodetectors has been developed and fabricated (K.Barbakadze) in SIPT assigned for special purpose items.



რადიოიზოტოპური თევი „Beta-M“
Radioisotope TEG “Beta-M”

დასხვა თაობის მეცნიერებსა და სპეციალისტებს. ესენია შ. ბურდიაშვილი, ი. კერვალიძე, ნ. შამბა, ბ.პ. მიტრენინი, ი.ა. ინოზემტოვა, ს. ლალიკინი, პ. ჭელიძე, ვ. ხაჩიშვილი, რ. შვანგირაძე, ი. ასათიანი, ნ. ცქირია, ვ. ჟუკოვი, შ. გოგიჩაიშვილი, ე. ლომაძე, თ. მოზდოკელი, ე. ოზიაშვილი, კ. ბარბაქაძე, თ. ალექსანდროვა, ი. ამირხანოვა, კ. არტიომოვა, ფ. ბასარია, ვ. კარჟავინი, ო. გოგიშვილი, ნ. გრეჩკო, თ. ვეკუა, მ. ზალდასტანიშვილი, რ. ინგლიზიანი, გ. კალანდაძე, კ. კვიცინია, ვ. კობიაკოვი, ვ. კოვირზინი, ს. კონონიხინი, ი. ლავრინენკო, ვ. ლობზინი, ვ. მარჩენკო, ა. მათითაშვილი, თ. ლომთათიძე, რ. შვანგირაძე, ა. ბიგვა, ვ. მელაშვილი, ი. ოვსიანკო, ი. როგოვოი, ო. სამადაშვილი, ი.პრილეპო, ვ. სერჟანტოვი, ა. სოკოლოვი, ნ. სუდაკი, ა. ფრენკელი, ვ. შეროზია, ვ. ჩამაგუა, თ. მეიშვილი, ა. ჩილიკიდი, ს. ჩურიპოვი, მ. ბილისეიშვილი, ვ. ცხომარია, ო. სულავა და სხვები.

მეცნიერების და ტექნიკის ამ მნიშვნელოვან სფეროში ჩატარებულ კვლევათა თეორეული და პრაქტიკული შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებში, მოხსენებულია საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. ბევრი მათგანი დაცულია საავტორო უფლებით. უნდა აღინიშნოს მონოგრაფიები, რომლებშიც ასახულია ძირითადი ტექნოლოგიური და პრაქტიკული მიღწევები ამ მნიშვნელოვანი მიმართულებით: „Анализ бора и его соединений“ и «Анализ полупроводниковых сплавов» М., Атомиздат, 1965. ავტორები მ. ვასილიევა, ვ. ლოლიკინა, ნ. მახარაშვილი, ა. სოკოლოვა, ვ. სოიფერი და ნ. ცქირია.

დაბალტემპერატურული პლაზმის ფიზიკა და თერმოემისიური გარდამქმნელები.

1957 წ. ი.გ. გვერდნითელის ხელმძღვანელობით დაიწყო სხვადასხვა ელექტროდისანი ექსპერიმენტული თერმოელექტრული გარდამქმნელების კვლევები. პარალელურად შეუდგნენ რეაქტორ-გარდამქმნელის შემადგენელი თერმოემისიური

At different stages of development and formation of thermoelectric instrument-making at SIPT a significant contribution was made by scientists and specialists of several generations: Sh. Burdiashvili, I. Kirvalidze, N. Shamba, B.P. Mitrenin, I.A. Inozemtseva, M. Kobaladze, S. Lalikin, P. Chelidze, V. Khachishvili, R. Shvangiradze, Ya. Asatiani, N. Tsikoria, V. Zhukov, Sh. Gogichaishvili, V. Kekelia, E. Lomadze, E. Oziashvili, K. Barbakadze, T. Aleksandrova, T. Mozdokeli, I. Amirkhanova, K. Artyemova, V. Kakulia, F. Basaria, V. Karzhavin, O. Gogishvili, N. Grechko, T. Vekua, Z. Gvaramia, M. Zaldastanishvili, R. Inglizyan, G. Kalandadze, K. Kvitsinia, V. Kobayakov, V. Kovirzin, S. Kononikhin, S. Krivoruchko, I. Lavrinenko, V. Lobzin, V. Marchenko, A. Matitashvili, T. Lomtadze, R. Shvangiradze, A. Bigvava, V. Melashvili, I. Ovsyanko, I. Rogovoy, O. Samadashvili, I. Prilepo, V. Serzhantov, A. Sokolov, N. Sudak, A. Frenkel, V. Sherozia, T. Meishvili, V. Chamagua, A. Chilikidi, S. Churipov, M. Biliseishvili, V. Tskhomaria, O. Sulava and many others.

The importance of the researches in this field was proved by both: practical results in the form of technology and products and a large number of publications, should be marked out, the monograph “Analysis of boron and its compounds” and “Analysis of semiconductor alloys” by N.G. Tskiria, M.T Beshikdashyan., M.G. Vasileva, L.V. Ermakova, V.M. Lalykina, as a result of their many years of serious researches.

Law-Temperature Plasma Physics and Thermal Emission Convertors

In 1957, under the leadership of I.G. Gverdsiteli, SIPT initiated investigation of experimental thermal emission convertors (TEC) with different electrodes. In parallel, the work on design and technology of making thermal emission electrogenerating

ელექტროგენერაციული არხების დამუშავებას. სფტი-ში მიღებული ტრადიციების შესაბამისად ჩამოყალიბდა ლაბორატორიები თერმოემისიური ელექტროგენერაციული არხების შექმნის სრული ციკლის უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავდა თერმოემისიური გარდამქმნელებისა და არხების კონსტრუქციების დამუშავებას, მასალათმცოდნეობით და თერმოემისიურ კვლევებს, ელექტროდების მასალების შერჩევას (ძნელდნობადი მეტალებისა და შენადნობების ზედაპირების სტრუქტურის კვლევა, ზედაპირების ქიმიური შედგენილობა, მასალების ემისიური მახასიათებლები), დამზადება, სითბური და რეაქტორული გამოცდები, სხვადასხვა კვანძების მასალათმცოდნეობითი კვლევები. პარალელურად მუშავდებოდა თერმოემისიური გარდამქმნელის მუშა სხეულის ორთქლის წყაროები (ა. კალანდარიშვილი). ამუშავებდნენ აგრეთვე თერმოემისიური არხებისა და თხევადმეტალური კონტურის ჰერმეტიზაციის დიაგნოსტიკისა და კონტროლის სისტემებს ბირთვული ენერგეტიკული დანადგარის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (მ. შარტავა, ვ. კუჭუხიძე). 60-იანი წლების შუა პერიოდში უზბეკეთის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში (დასახლება ულუგბეიკი) პოდოლსკის სამეცნიერო-კვლევით ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან ერთად შეიქმნა სტენდი სრული ინფრასტრუქტურით ელექტროგენერაციული არხების რეაქტორული გამოცდებისათვის (გ. ქარუმიძე, ბ. მსხალაია). 70-იანი წლების ბოლოს ასეთი გამოცდები

channels (EGC) in the composition of the reactor transformers According to the tradition adopted in SIPT, the institute set up laboratories to ensure full cycle (from idea to the device) of manufacture of EGC, including designing TEC and EGC,

material and thermal emission studies, and as a result the selection of materials for electrodes (research in surface structures of refractory metals and alloys, chemical composition of surfaces, emission characteristics of materials), manufacture, thermal and loop tests and post-reactor material studies of different EGC units. In parallel, the work on sources of steam of the working medium for TEC (Ar. Kalandarishvili), on the development of control systems and diagnosis of depressurization of EGC and the liquid metal contour, providing for radiation safety was under way (Sh. Shartava, V. Kuchukhidze).

Together with PNIITI (Podolsk Research Institute of Technology) a test board equipped with necessary infrastructure for conducting loop tests of EGC was constructed in the Institute of Nuclear Physics of the Academy of Sciences of the Uzbek SSR (Ulugbek settlement) in the mid-60s. (G. Karumidze, B. Mskhalaia). From the end of the 70s these investigations were carried together with NPO (research industrial association)



თეგის კვანძების რესურსული გამოცდების სითბური სტენდი

TEG nodes recourse tests thermal stand



თეგის რესურსული გამოცდების სითბური სტენდი

TEG resource tests thermal stand

ტარდებოდა გაერთიანება „ენერგიასთან“ ერთად უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტში (კიევი). რეაქტორული გამოცდების შემდეგდროინდელი სხვადასხვა კვანძის მასალათმცოდნეობითი და ელექტროფიზიკური კვლევები სრულდებოდა ცხელ კამერებში ყაზახეთის ბირთვული კვლევების ინსტიტუტში (ალმა-ატა).

60-იანი წლების პირველ ნახევარში საძიებო და კვლევითი სამუშაოების შედეგად მსოფლიოში პირველად სფტი-ში დამუშავდა თერმომემისიური გარდამქმნელების მუშაობის გაცილებით ეფექტური რკალური (პლაზმური) რეჟიმი. ამჟამად თერმომემისიური გარდამქმნელის მუშაობის ეს რეჟიმი საყოველთაოდ გამოიყენება ელექტროგენერაციის არხებში.

სფტი-ში დამუშავდა ერთ- და მრავალელემენტიანი (გირლანდის ტიპის) თერომემისიური გარდამქმნელი (დ. ცეცხლაძე) და დაიწყო მათი წარმოება. დამუშავდა და შეიქმნა რადიომზომი აპარატურა თერმომემისიური გარდამქმნელებისა და ენერგოგენერაციის არხების გამოსავალი პარამეტრების გაზომვებისათვის როგორც თბურ, ასევე სარესურსო გამოცდებში. დამუშავდა მრავალელემენტიანი ენერგოგენერაციის არხების გახურებისა და ვოლტ-ამპერული მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდები,

“Energy” of the Institute of Nuclear Research of the Academy of Sciences of the Ukrainian SSR (Kiev). The post-reactor material and electrophysical studies of different units of were carried out in hot chambers of the Institute of Nuclear Research of the Academy of Sciences of the Kazakhstan SSR (Alma-Ata).

As a result of research and development works carried out in the first half of the sixtieths, for the first time in the world SIPT succeeded in finding the most effective method of arc-plasma welding of the TEC operation. Currently, the TEC's arc-plasma operation mode is applied in all the developed EGC.

Designs of single- and multiple-unit (garland-type) element (D. Ceckhladze) of TEC were developed and manufactured in SIPT. Radio metering equipment to investigate output parameters of TEC and EGC, both upon thermal and non-thermal backup tests was designed. A method and technique for heating multi-unit EGC and taking down tungsten characteristics of TEC based on the converse current principle were elaborated.



თეგ-ის გამომავალი პარამეტრების რადიოგამზომი აპარატურა

Radio metering equipment for studying output parameters of TEC developed by SIPT



მრავალელემენტიანი თეგის „გირლანდული“ ტიპის კონსტრუქცია

Design of a garland-type multi-unit TEC, developer - SIPT

რომლებიც დამყარებულია უკუდენების პრინციპზე.

თერმოემისიური გარდამქმნელების დამუშავების პროცესში ელექტროდების განმხოლოებისათვის ათვისებულ იქნა კორუნდისა და იტრიუმის შემცველი კერამიკული ჰერმეტიკული მაკავშირებელი, დამუშავდა და შეიქმნა თევების მრავალშრიანი მეტალ-კერამიკული ანოდური კვანძების სანარმოო უბანი. მიღებულმა კვანძებმა წარმატებით

გაიარეს მაღალტემპერატურული სარესურსო გამოცდა აგრესიული გარემოსა და მაღალი დატვირთვის პირობებში. შეიქმნა უნიკალური ექსპერიმენტული კომპლექსი თევების მასალების ემისიურ-აბსორბციული, ფიზიკურ-მექანიკური, თბო- და ელექტროფიზიკური თვისებების შესასწავლად ფართო ტემპერატურულ დიაპაზონში. შეიქმნა თევისა და ენერგოგენერაციის არხის ცალკეული კვანძების ელექტრონულ-სხივური მეთოდით შედუღების უბანი. აღნიშნულიდან უმრავლესობა წარმოადგენდა პიონერულ სამუშაოებს და დაცული იყო შესაბამისი დოკუმენტაციით. წარმოებული სამუშაოების შედეგები რეგულარულად ქვეყნდებოდა როგორც საბჭოურ, ასევე საზღვარგარეთულ სამეცნიერო პერიოდიკაში. წამყვანი სპეციალისტები თერმოემისიური გარდამქმნების მიმართულებით აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში.

სამუშაოების შედეგების რეალიზაცია განხორციელდა ბირთვულ ენერგეტიკულ დანადგარებში „ენისეი“-სა და „ტოპაზ“-ში, რომელიც შეიქმნა შემდეგი ინსტიტუტების კოოპერირებით: ი.ვ. კურჩატოვის სახ. აეი, პნიტი (ქ. პოდოლსკი), ცკბმ (ქ. ლენინგრადი), სამეცნიერო-კვლევითი გაერთიანება „ენერგია“ (ქ. კალინინგრადი), სკგ „კრასნაია ზვეზდა“, ფიზიკა-ენერგეტიკის ინსტიტუტი (ქ. ობნინსკი) და სხვ.

1987-1988წწ. დანადგარებმა გაიარეს სახმელეთო სითბური და საფრენი გამოცდები „კოსმოს-1818“ და „კოსმოს-1867“ ხომალდებზე და აჩვენეს შექმნილი კონსტრუქციის ელექტრომაგნიტიზირებელი არხის მაღალი ეფექტური მუშაობა ხისტი რადიაციისა და აგრესიული გარემოს პირობებში, ასევე მისი მყისიერი მდგრადობა დიდი გადატვირთვის შემთხვევაში.

In the course of development of TEC for electric demarcation of electrons production of high-temperature pressure seals with alundum and yttrium ceramics were put into production; a section for making multi-layer cermet anodic units of TEC was designed and successfully underwent high-temperature backup testing in aggressive media and at high loads. A unique experimental complex was created to study: emission-adsorption, physical-chemical, thermal- and electrophysical properties of TEC materials within a wide temperature range. A section of arc-plasma welding of individual units of TEC and EGC was established. Most above-listed developments were pioneering and protected by corresponding certificates. The results of their research the leading researchers of the Institute published in the press and reported at All-Union and international meetings on thermal emission problems being held in Germany, USA, Netherlands, France, Italy, etc. The results of these researches were implemented in the NPPs “Enisey” and “Topaz“ being created in collaboration with Kurchatov Research Institute of Atomic Energy, PNIITI (Podolsk), Central Design Bureau of Engineering (Leningrad), NPO “Energy” (Kaliningrad), NPO “Krasnaya Zvezda”, Physics and Energy Institute (Obninsk), etc. The underwent land thermal and flight tests in 1987-1988 on spacecraft “Cosmos – 1818”, “Cosmos – 1867” and manifested high performance of the TEC developed under hard conditions of radiation, in aggressive media and efficiency upon overloads.

The evidence of great merit of scientists and specialists of SIPT (being the parent institution in the area of thermal emission conversion in the USSR) in the construction of spaceship NPPs with thermal conversion of energy, was the holding in Sukhumi of the 2nd International Conference: “Nuclear Energy in Space”. Physics of Thermal Emission Convertors”. A great contribution in the successful organization and holding of



ბირთვული ენერგეტიკული
დანადგარი "ენისეი"

NPP "ENISEY"

ენერგიის თერმოემისიური გარდამქმნელებიანი კოსმოსური ბირთვული ენერგეტიკული დანადგარების შექმნაში სფ-ტი-ის (რომელიც თერმოემისიური გარდაქმნის მიმართულებით სსრკ-ში სათაო საწარმოს წარმოადგენდა) მეცნიერებისა და სპეციალისტების უდიდესი ღვაწლის დასტურად 1991 წლის ოქტომბერში სოხუმში ჩატარდა მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ბირთვული ენერგეტიკა კოსმოსში. თერმოემისიური გარდამქმნელების ფიზიკა“. კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისა და ორგანიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა რ. სალუქვაძემ. კონფერენციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლები, რომელთა ნაშრომებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს.

ამ კონფერენციის შედეგად აშშ-სა და სსრკ-ის მთავრობები შეთანხმდნენ აშშ-ის მიერ პროექტ „ტოპაზის“ შეძენაზე. აშშ-ს მიერ შეძენილი „ტოპაზის“ კომპლექტი განთავსდა ქ. ალბუკერკის უნივერსიტეტში, საგანგებოდ მისთვის შექმნილ საცდელ ცენტრში. აშშ-რუსეთის



ბირთვული ენერგეტიკული
დანადგარი "ტოპაზი"

NPP "TOPAZ"

the Conference was made by SIPT Director, Academician R.G. Salukvadze. Together with leading world specialists in the field of space engineering and thermal emission instrument-making, the leading specialists of the Institute took active participation in the Conference work, the reports of which were generally recognized.

The result of this Conference was the making of a contract between the USSR and the USA on the purchase of the "Topaz" Project. The "Topaz" NPP set bought by the USA is installed at one of the US universities in a specially established for test center. Within the framework of a joint USA-USSR program together with specialists of other organizations active participation in the commissioning works specialists of SIPT were also taking place. The head of laboratory for thermal and reactor tests, professor of technical sciences A.G. Kalandarishvili for half a year was invited to the State Ohio, USA for working there, and his monograph



ვ.კ. ცხაკაია
ფიზ-მათ
მეცნიერებათა
დოქტორი,
სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი
Tskhakaia V.K.,
Doctor of physical
and mathematical
sciences, Georgian
SSR State Prize



ა. გ. კალანდარიშვილი
პროფესორი,
ტექნიკურ
მეცნიერებათა
დოქტორი, სახელმ-
წიფო პრემიის ლაუ-
რეატი
Kalandarishvili A.G.
Professor, Doctor
of technical Sciences,
State Georgian SSR
State Prize Laureate



ლ. მ. წაქაძე
ფიზ-მათ
მეცნიერებათა
დოქტორი,
სახელმწიფო პრემი-
ის ლაურეატი
Tsakadze L.M.,
Doctor of physical
and mathematical
sciences, Georgian
SSR State Prize Lau-
reate



ნ.ე. მენაბდე
სახელმწიფო
პრემიის
ლაურეატი
Menabde N.E.,
Candidate of
Technical Sci-
ences, Georgian
SSR State Prize
Laureate

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ობიექტის საექსპლუატაციოდ გაშვების სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ სფტი-ის სპეციალისტები. სითბური და რეაქტორული გამოცდების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა.გ. კალანდარიშვილი ნახევარი წლით მიიწვიეს ოჰაიოს შტატში სამუშაოდ, ხოლო მისი მონოგრაფია „მუშა სხეულის ორთქლის წყაროები ენერგიის თერმომისიურ გარდამქმნელებში“ (M.: Энергоатомиздат, 1986 г., 186 с.) ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოსცა ლოს-ალამოსის ლაბორატორიის გამომცემლობამ 1989 წელს.

სფტი-ის თერმომისიური ხელსაწყოთმშენებლობის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის მეცნიერები და სპეციალისტები: ი. ნიკოლაევი, ნ. მენაბდე, ვ. ცხაკაია, დ. ცეცხლაძე, ა. კალანდარიშვილი, ლ. წაქაძე, ი. სჟენოვი, ი. ასათიანი, ა. ბახტაძე, გ. ქარუმიძე, ბ. მსხალაია, ა. ბზიკაძე, რ. კუჩეროვი, ვ. კარახანოვი, გ. ტყემელაშვილი, ა. გულდამაშვილი, ი. ელოშვილი, ბ. ზიკოვი, ა. ლეიბა, ზ. ოგანეზოვი, რ. კარაგოზიანი, გ. მაილოვი, გ.

“Sources of Working Heat Steams for Thermal Emission Energy Convertors - M.: Energoatom Publishers, 1986r., 186 pages was translated in English and was published in the USA by the Los Alamos Laboratory publishers in 1989 (NLN 633-89).

Active part in the formation of SIPT as one of the leaders of thermal emission instrument making took the scientists and specialists of different generations: Yu.N. Nikolaev, S.A. Eremin, K.G. Orjonikidze, I.Jvania, N.E. Menabde, V.K. Tskhkakaia, D.L. Tsetskhladze, A.G.Kalandarishvili, L.M.Tsakadze, I.K. Szhenov, G.I. Kalandadze, Ya.V. Asatiani, A.B.Bakhtadze, G.S. Karumidze, B.A. Mskhalaia, A.G. Kudziev, A.B. Bzikadze, R.Ya. Kuchero, V.A. Karakhanov, G.I. Tkeshelashvili, A.I. Guldamashvili, Yu.L. Eloshvili, V.I. Uvarov, B. Zykov, A.S. Leiba, Z. Oganezov, R.M. Karagozyan, G.M. Mailov G.L. Kakulia, B.R. Bondarenko, M.M. Karlenko, L.Ya. Garber, B.N. Igumnov, Yargin, O.F. Kozlov, V.P. Zaitsev, V.A. Bisko, A.N.

კაკულია, ბ. ბონდარენკო, მ. კარპენკო, ლ. გარბერი, ბ. იგუმნოვი, ვ. იარიგინი, ო. კოზლოვი, ვ. ბისკო, ა. ბურკოვი, ს. ჭკადუა, ს. კრივონოსოვი, პ. ჩილინგარამილი, შ. შარტავა, ვ. კაშია, ი. ნარდაია, ვ. კუჭუხიძე, ა. სტოროჟენკო, ი. რუბანოვი, ვ. სელივანოვი, თ. სორდია, ვ. მოროზოვი, ბ. ერმილოვი, ვ. კობიაკოვი, ე. დიასამიძე, ს. ზასლავსკი, ნ. გარშინი და სხვ.

1989 წელს თერმოემისიურ ხელსაწყოთ-მშენებლობაში წამყვანი მეცნიერების ჯგუფს ვ. ცხაკაიას, დ. ცეცხლაძის, ა. კალანდარიშვილის, ლ. ნაქაძის და ნ. მენაბდის შემადგენლობით მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია სამუშაოთა ციკლისათვის „ენერგიის თერმოელექტრული გარდამქმნელი მასალების თვისებების შესწავლა“.

ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოები ამ სფეროში მოხსენებულია მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე „Thermionic Power Generation“ (Julich, FRG) და მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე „On Direct Energy Conversion (USA)“, გამოქვეყნებულია პრეპრინტებში, პერიოდულ ლიტერატურაში, აგრეთვე ბევრი ტექნიკური და ტექნოლოგიური გადან-ყვეტა დაცულია საავტორო უფლებებით. ამ მიმართულებით ასევე გამოცემულია მონოგრაფიები, რომლებშიც ასახულია ინსტიტუტის ძირითადი მიღწევები:

- Каландаришвили А. Г. Источники рабочего тела для термоэмиссионных преобразователей энергии. – Москва: ЭнергоАтомИздат, 1986 г. – 186 с. (მონოგრაფია ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გამოცემულია აშშ-ში ლოს ალამოსის ლაბორატორიის მიერ 1989 წელს - A. G. Kalandarishvili. Working Medium Sources for Thermoionic Power Converters).

- Квасников Л. А., Кайбышев В. З., Каландаришвили А. Г. Рабочие Процессы в Термоэмиссионных Преобразователях Ядерных Энергетических Установок. М.: Издательство МАИ, 2001. – 208 с.

Burkov, S.S. Chkadua, S.D. Krivonosov, P.D. Chilintarashvili, A.A. Makasarashvili, Sh.Sh. Shartava, V.D. Kashia, Yu.I. Nardaia, V.A. Kuchukhidze. A.M. Storozhenko, G.Ya. Zobnin, V.K.Mikheev, M.A. Kadaria, Yu. K. Rubanov, V.V. Selivanov, T.D. Sordia, V.A. Morozov, B. Yermilov, V.P. Kobayakov, V.A. Mikheev, E. M. Diasamidze, N.A. Garshion, A.M. Sarkisyan, A.G. Zarnadze, A.D. Bigaeva, S.A. Zaslavski, etc.

Main achievements of the institute in this field have been presented in the reports at the III International Conference on thermionic energy conversion (Julich, FRG) and the IV International Conference on direct energy conversion (USA), in preprints, periodical literature, many developments were protected by copyright. Monographs on this subject were also issued:

- Kalandarishvili A.G. Sources of working medium for the thermoemission energy converters – M.: Energoatomizdat, 1986. – p.186. (withstood two editions in 1993, p.304) and published in USA in 1989. Publishing of Los-Alamos Lab.

- Kvasnikov L.A., Kaibishev V.Z., Kalandarishvili A.G. Working processes in thermoemission converters of the nuclear energy devices M.: Publ. “MAI”, 2001, p.208

ხელსაწყოთმშენებლობა

ინსტიტუტში ერთ-ერთ ტრადიციულ მიმართულებას წარმოადგენდა რადიოფიზიკური და რადიოელექტრონული ხელსაწყოთმშენებლობა, რომელიც გასულ საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებად და ინსტიტუტის საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს შორის პრიორიტეტული გახდა. რიგი ხელსაწყოების, განსაკუთრებით კოსმოსური აპარატების მართვის ავტომატური სისტემების, კვების ავტონომიური სისტემების მეორეული წყაროების, მიწისზედა მართვის საკონტროლო-გამზომი აპარატურის, მძლავრდენიანი გარდამქმნელებისა და ელექტრონული იმიტაციების დამუშავებისა და წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი სფტი-ს ევალებოდა. ხელსაწყო-აპარატურა მიეწოდებოდა კოსმოსური თანამგზავრების მართვის ცენტრებს გოლიცინოში, ბაიკონურში, სემიპალატინსკში, კრასნოიარსკში, ასევე დარგის პარტნიორ ინსტიტუტებს. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, 90-იანი წლების მიჯნაზე შეფერხდა კრასნოიარსკის გამოყენებითი მექანიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისთვის, კოსმოსური თანამგზავრების მართვის ცენტრებისთვის განკუთვნილი საკონტროლო-გამზომი აპარატურის კომპლექტ „ჰორიზონტის“ (ე. წ. ხელსაწყო 11 H5190) ვოლტამპერული მახასიათებლის მზომი ბლოკების და კვების მძლავრდენიანი ტექნოლოგიური წყაროების (ხელსაწყო 11 H5191) მიწოდება, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ტრადიციულ პარტნიორებს, რადგანაც ინსტიტუტში დამუშავებული ამ ხელსაწყოების ერთადერთი მწარმოებელიც სფტი იყო. ინსტიტუტის ახალ პირობებში ადაპტაციისა და რეორგანიზაციის შემდეგ დამკვეთთა დაჟინებული თხოვნით ხელსაწყოთა მიწოდება განახლდა, უფრო მეტიც, შეიქმნა თანამშრომლობის ერთობლივი პერსპექტიული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა რიგი ხელ-

Instrument Engineering

Radiophysical and radio-electronic instrument-making became one of the traditional directions in the Institute. It was established as an independent scientific-research direction since the 1970s and had a priority among the development activities of the Institute. SIPT was entrusted with a substantial part of the development and manufacture of a number of devices: spaceship automatic control systems, secondary indirect power supply sources, ground-based control instrumentation, high-current transducers and electronic simulators. Devices and equipment were provided to space satellite control centers in Golitsino, Baikonur, Semipalatinsk and Krasnoyarsk, also to branch institutions. After the breakdown of the USSR, at the beginning of the 90s supplies of the voltage-current characteristic measuring blocks and high-current power supply technological sources of the control instrumentation – the set “Horizon” (the so-called instrument



ნ.ი.ლეონტიევი
სფტი-ს დირექტორი
(1969-1974),
სსრკ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

N.I. Leontyev,
SIPT director
(1969-1974),
USSR State Prize
Winner

საწყო-აპარატურის მოდერნიზაციას, სრულყოფას და ხანგრძლივ მიწოდებას.

ინსტიტუტში დაგროვილმა მდიდარმა გამოცდილებამ რადიოელექტრონულ ხელსაწყომშენებლობაში განაპირობა სფტი-ს მონაწილეობა სსრკ-ის ერთიანი სათანამგზავრო („რადუგა“, „ეკრანი“ და „ჰორიზონტი“) კავშირგაბმულობის სისტემის შექმნაში. რაშიც მას სოლიდური წვლილი მიუძღვის. ეს იყო გლობალური, მრავალპარამეტრიანი და ურთულესი ტექნიკურ-ტექნოლოგიური დავალება, რომელშიც ათობით სამეცნიერო, საკონსტრუქტორო დაწესებულება და საწარმო, ათასობით მეცნიერი და სპეციალისტი იყო ჩართული. ამავე დროს, ამოცანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით.

ამ ამოცანაში დავალების ინსტიტუტის წილი გულისხმობდა ორი საბორტო ხელსაწყოს და მათი მართვა-კონტროლის მიწისზედა კომპლექსური აპარატურის შექმნასა და მიწოდებას.

საბორტო აპარატურათაგან პირველი გულისხმობდა მზის ენერგიის სათანამგზავრო წყაროდან მიღებული დენის გადამრთველის დამზადებას ძაბვის მაღალი სტაბილიზაციით (10^{-5} ვ სიზუსტით) 6,3; 36; 110-ვოლტიან ნომინალებზე და ორბიტის „ბნელ“ არეებში მზის გენერატორის ქიმიურ დენის წყაროებზე გადამრთველის შექმნას სტაბილურობის დონის შენარჩუნებით; ხოლო მეორე - სატელევიზიო სიგნალის გამომსახივებელი კლისტრონის მაღალსტაბილური 1400 ვოლტიანი ძაბვის ფორმირებას - ე. წ. მეორეული გარდამქმნელის შექმნა-დამზადებას; მესამე - მიწისზედა მართვის კომპლექსური აპარატურის დაპროექტება-დამზადებას.

ინსტიტუტის სპეციალისტებმა საკმაოდ შემჭიდროვებულ ვადებში (1977-1979 წწ.) ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამ ამოცანებს.

11H5190) designated for Krasnoyarsk Scientific and Production Association of Applied Mechanics and to space satellite control centers was interrupted, which created serious problems to traditional partners. For SIPT it was the only developer and manufacturer of these instrumentation. After adaptation and reorganization of the Institute under new conditions and at the insistent demands of the customers, the supply of instrumentation was renewed. Moreover, a joint prospective cooperation program was established, providing modernization, perfection and long-term supply of a number of instruments.

The rich experience accumulated in the Institute in the area of radio electronics engineering conditioned the participation of SIPT in the creation of uniform satellite (“Raduga” (Rainbow), “Ekran” (Screen) and “Gorizont” (Horizon)) communication system, to which the Institute’s contribution is rather great. It was a global, multiparametric and most complex technical assignment, in which dozens of scientific, design institutions and enterprises, thousands of scientists and specialists were involved. At the same time, the assignment acquired a special importance connected with the approaching of the 1980 Moscow Olympic Games.

The Institute’s share in this assignment implied the development and supply of two onboard devices and of their ground-based control and debugging equipment.

Out of the onboard equipment, the first implied the manufacture of a transducer/switch of current generated by a solar power satellite source with high stabilization (to 10^{-5} V), on 6.3; 36; 110-voltage nominal and the development and construction of a switch/commutator to chemical current sources of solar generator in the “dark” areas of the orbit with the stable level retaining; while the second – formation of high-stable 1400 V voltage of the television signal

სხვა მიღწევათა ფონზე, ამ დიდ საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ინსტიტუტი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა და მის გადმოსაცემად სოხუმში საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი ვ. სლავსკი ჩამოვიდა. აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის, მის ხელმძღვანელს პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე ლეონტიევს 1980 წელს მიენიჭა საკავშირო სახელმწიფო პრემია, ხოლო პროექტის მონაწილე 40-მდე წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი დაჯილდოვდა სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებითა და პრემიებით.

მოგვიანებით ამ მიმართულებით ინსტიტუტის პოტენციალის საქართველოს ეკონომიკაში ინტეგრაციისთვის დაგროვილი გამოცდილება მიმართულ იქნა მეცნიერებატევადი და რესურსდამზოგი ხელსაწყო-აპარატურის შექმნასა და ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებისაკენ. დამუშავდა პროექტი (გ. ბოკუჩავა) და ტექნიკური გადაწყვეტილებები ზემოთ აღნიშნული ხელსაწყოს თანამედროვე ელემენტთა ბაზაზე მძლავრდენიანი უნივერსალური ტექნოლოგიური კვების წყაროს შესაქმნელად სხვადასხვა დანიშნულების რადიოელექტრონული აპარატურის, სასიგნალიზაციო და სხვა მართვის ელექტრონული სისტემებისათვის.

აღნიშნულ სამუშაოებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ი. ვენედიქტოვს, ნ. ოლიფერჩუკს, მ. ჩერკასოვს, ი. გრიცს, ა. კუჩერიაევს, ბ. მაზმანიდს, გ. მაილოვს, ე. ავეტისოვს, გ. ჯღამაძეს, ა. ჯოჯუას, ა. ვოზნიუკს, თ.გოგიას, ი. რეპინს, ზ. ისაკაძეს, რ. კვიცინიას, ა. ნეკლიუდოვს, ა. ხვედელიძეს, ი. აბოიანს, ს. აბოიანს, ს. ზახაროვს, ვ. ისაჩენკოს, გ. მაკალათიას, გ. გულბანს, ლ. კოლესნიკოვს, ვ. ლ. ლომაკინს და მრავალ სხვას.

რადიოფიზიკური ხელსაწყოთმშენებლობის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს უნივერსალური ელექტრონული სპექტროსკოპის შექმნა (სამუშაოების

radiating klystron – the development and manufacture of the so-called secondary commutator/transducer; the third – design and manufacture of ground-based complex control equipment.

The Institute's specialists perfectly coped with these tasks in rather limited times.

Against the background of other achievements the Institute was decorated with the Order of the Red Banner of Labor. Minister of Srednego Mashinostroyeniya Y. Slavski arrived to Sukhumi to deliver the award. Professor Nikolay Leontyev was awarded the All-Union State Prize, while up to 40 leading research workers participating in the project were decorated with different state awards and prizes for implementation of the above mentioned work.

In the direction for integration of the Institute's potential into the national economy, the accumulated experience is directed at the development of science-intensive and resource-saving devices and instruments and widening the production of consumer goods. A project (G. Bokuchava) and engineering solutions for making a universal power supply source on the basis of modern elements of the above-mentioned device for radio electronic equipment, electronic signaling and other control systems.

An important contribution to the works was made by I. Venediktov, N. Oliferchuk, M. Cherkasov, I. Grits, A. Kucheryaev, B. Mazmanidi, G. Mailov, E. Avetisov, G. Jghamadze, A. Jojua, A. Voznyuk, T. Gogia, I. Repin, Z. Isakadze, R. Kvitsinia, A. Neklyudov, A. Khvedelidze, I. Aboyan, S. Aboyan, S. Zakharov, V. Isachenko, G. Makalatia, G. Gulbani, L. Kolesnikov, V. Lomakin and many others.

Serious achievement in radiophysical instrument-making was the development

ხელმძღვანელები ბ.ზიკოვი და ი. ნარდაია), რომლითაც ხორციელდებოდა ზედაპირების კომპლექსური კვლევა ელექტრონული აღგზნებით: ნელი ელექტრონების დიფრაქციის, ელექტრონული ოჟე-სპექტროსკოპიის, დაბალენერგეტიკული ზღურბლური ელექტრონული სპექტროსკოპიითა და სხვა მეთოდებით.

უნივერსალურმა ელექტრონულმა სპექტროსკოპმა ფართო გამოყენება ჰპოვა ისეთი პროცესების შესწავლისას, როგორიცაა ადსორბცია, ჟანგვა, კოროზია, ადგენია თერმოემისიურ გარდამქმნელებში და სხვა. ამ უნიკალური სპექტროსკოპით შესაძლებელია ზედაპირების ატომური სისუფთავის განსაზღვრა ერთ-ორი რიგით უფრო მაღალი მგრძნობიარობით ვიდრე ეს შესაძლებელია ოჟე-სპექტროსკოპიაში. უნივერსალურ ელექტრონულ სპექტროსკოპს სსრკ-ში არ გააჩნდა ანალოგი და იგი თავისი პარამეტრებით არ ჩამოუვარდებოდა საზღვარგარეთის საუკეთესო ანალოგებს.

ინსტიტუტში შეიქმნა რადიომეტრული აპარატურა ცხელი პლაზმის პარამეტრების განსაზღვრისათვის საკუთარ ექსპერიმენტებში საჭიროებისა და დამკვეთებისათვის. მაგალითად, რამდენიმე ნიმუში მიეწოდა სსრკ-ს პარტნიორ საწარმოებს, ასევე გაიგზავნა მექსიკასა და ლიბიაში.

ინსტიტუტში დამუშავდა სითბური ენერგიის თერმოემისიური მეთოდით ელექტრულში გარდაქმნის ფიზიკური და ტექნოლოგიური პროცესების კვლევისა და თერმოემისიური ელექტრომაგნენირებელი ელემენტების და მათი კვანძების რეაქტორული და სითბური ხანგრძლივი რესურსული გამოცდების ავტომატიზირებული მართვის რადიოელექტრონული აპარატურის კომპლექსი.

აპარატურის კომპლექსები მიეწოდა ი. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტს, პოდოლსკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ლუჩს“, ობნინსკის ფიზიკო-ენერგეტიკულ ინ-

and construction of a universal electron spectroscope (leaders of the work B. Zykov and Yu. Nardaia) with the application of different methods of surface research with electronic excitation: slow electron diffraction, electron Auger spectroscopy, low-energy threshold electron spectroscopy and other methods.

The universal electron spectroscope found a wide application in studying such processes as adsorption, oxidation, corrosion, adhesion in thermal emission converters, etc. This unique spectroscope allows measuring the surface atomic condition by one-two orders of higher precision as in the case of Auger spectroscopy.

The universal electron spectroscope had no analogues in the USSR and was no inferior to the best foreign prototypes by its parameters.

Radiometric instruments for measuring the hot plasma parameters were constructed in the Institute for own experimental needs and for customers. For example, several samples of these instruments were supplied to the USSR enterprises, also to Mexico and Libya.

The Institute developed a set of radio electronic equipment for studying physical and technological processes of conversion



უნივერსალური ელექტრონული
სპექტროსკოპი
Universal electron spectroscope

სტიტუტსა და ნიუ-მექსიკის შტატის ქ. ალბუკერკეს უნივერსიტეტს 1990 წელს აშშ-ს მიერ შესყიდულ რეაქტორ-გარდამქმნელ „ტოპაზისათვის“ სპეციალურად შექმნილ სტენდზე.

ხორციელდებოდა ფართო კვლევები გარდამქმნელების ტექნიკის დარგში, რის შედეგადაც დამუშავდა და შეიქმნა ახალი ტიპის დენის სტატიკური გარდამქმნელები. ისინი ასრულებდნენ მეორადი წყაროების როლს ელექტროკვების ავტონომიურ სისტემებში. ასე მაგალითად, რადიოიზოტოპური დანადგარის ბაზაზე დამუშავდა კვების წყარო „რეუტ-2“ 10 წლიანი რესურსით ავტომატურ სანავიგაციო ხელსაწყოებში გამოსაყენებლად. აღნიშნული მიმართულებით რ. შვანგირაძის ხელმძღვანელობით მუშავდებოდა ფენოვანი ნახევარგამტარული თერმოელექტრული გარდამქმნელები (ე.წ. „ატომური ელემენტები“). სამუშაოებში მონაწილეობდნენ შ. ჯამაგიძე, ვ. ჩატოვი, კ. კობახიძე, ა. თოდუა, ლ. ჩატოვა, ე. ფრენკელი, ა. ჩერკასოვი და სხვ.

სფტი-ში თვითუზრუნველყოფის მიღებული ტრადიციების შესაბამისად რადიოაქტიური ფონის შემცველი დანადგარების შექმნასთან ერთად მიმდინარეობდა რადიოაქტიური გამოსხივების რეგისტრაციის მეთოდებისა და ხელსაწყოების შექმნის სამუშაოები. ასე, მაგალითად, მონოკრისტალურ სილიციუმზე პირველად შეიქმნა იონებით ლეგირებული სპექტრომეტრული დეტექტორი (ა. გულდამაშვილი), რომლითაც ხორციელდებოდა სითბური ნეიტრონების რეგისტრაცია 1%-იანი ეფექტურობით. დამუშავდა, ასევე, აჩქარებული ნაწილაკების კოორდინაციულ-მგრძნობიარე დეტექტორი სივრცული გარჩევადობით ~1%, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა საზღვარგარეთულ საუკეთესო ანალოგებს.

ბირთვული ფიზიკის დარგში განხორციელებულმა კვლევებმა განაპირობა გამოსხივების სამუშაოები დეტექტორების სრულყოფისათვის. ორგანული მასა-

of thermal energy into the electric by the thermal emission technique and automated control of the reactor and thermal life tests of the thermal emission elements and their components.

Hardware was supplied to Kurchatov Institute of Atomic Energy, Podolsk Scientific and Production Association “Luch”, Obninsk Institute of Nuclear Energy and New Mexico State University Albuquerque Center, for a board of specially made for the reactor converter “Topaz” purchased by the U.S.A. in 1990.

Comprehensive studies in the area of converter equipment were carried out, as a result of which new types of static current converters serving as secondary sources in the autonomous power supply systems were designed. Thus, on the basis of a radioisotope energy installation a supply source “Reut-2” with a 10-year resource to be used in automatic navigation beacons was developed. The works in this direction, on the production of film semiconductor thermo-photo- electrical converters (so-called “atomic elements”) were conducted under the leadership of R.R. Shvangiradze with the participation of Sh.Z. Jamagidze, V.A. Chatov, K.A. Jobakhidze, A.A. Todua, L.A. Chatov, E.M. Frenkel, A. Cherkasov and others.

In SIPT according to the accepted tradition of self-sufficiency, together with the developments of installations and articles with radioactive background, the works on the construction of radiation registration devices and methods were also performed. Thus, for the first time the ion-implanted spectrometric detector (developer – A.I. Guldashvili) for thermal neutrons with registration efficiency up to 1% and the coordinate-responsive detector of accelerated particles with the spatial resolution of ~1%, not inferior to best foreign prototypes were developed.

ლებისა და ნივთიერებაში ენერგიის გადატანის შესწავლის პროცესში სფტი-ში დამუშავდა და შეიქმნა თითქმის მყისიერი გამოძახილის მქონე მაღალეფექტური პლასტმასის სცინტილატორები, რომელთაც გააჩნიათ სათანადო თვისებები სხვადასხვა სახის ბირთვული გამოსხივების დეტექტორებისათვის. ი. როზმანისა და კ. კავირზინას ხელმძღვანელობით დამუშავდა პლასტმასის სცინტილაციური დეტექტორი “ЧИС-Т4А” გამა გამოსხივებისა და სწრაფი ნეიტრონების რეგისტრაციისთვის. ინსტიტუტში შექმნილმა პლასტმასის სცინტილატორებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს მაიონიზებული გამოსხივების დეტექტორებში. სამუშაოებში მონაწილეობდნენ ე. ანდრეევი, ბ. ბარონი, დ. ვიქტოროვი, ს. კილინი, ე. ლომაძე, ა. ცვეტკოვა, ვ. შონია, ნ. ელისტრატოვი და სხვ.

ინჟექტორებისა და ამაჩქარებლების ფიზიკა და ტექნიკა

მაღალი სიმკვრივის დენის პირველი ინჟექტორი ინსტიტუტში შეიქმნა გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, როდესაც მიმდინარეობდა ურანისა და ლითიუმის იზოტოპების ელექტრომაგნიტური განცალკევების სამუშაოები მანფრედ ფონ არდენესა და მაქს სტეენბეკის ხელმძღვანელობით. ამ სამუშაოებით სფტი-ში საფუძველი ჩაეყარა ამაჩქარებლების ტექნიკის განვითარებას.

1953 წელს ინსტიტუტში მწყობრში ჩადგა ამიერკავკასიაში პირველი ციკლოტრონი, რომელსაც შეეძლო დეიტრონებისა და პროტონების 10-20 მევ ენერგიამდე აჩქარება 100 მა დენის შემთხვევაში. ციკლოტრონი გამოიყენებოდა ბირთვული რეაქციების საკვლევად და რადიოაქტიური იზოტოპების დასაგროვებლად ბირთვების მასების ფართო დიაპაზონში. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო სამუშაოებმა, რომლებიც ეხებოდა რადიოაქტიური იზოტოპების გამოსვლის კვთების გაანგარიშებას და ატომბირთვების

The research carried out in the area of nuclear physics initiated the development of works on the perfection of radiation detectors. The studies of organic materials and transfer of energy in a substance carried out in SIPT made it possible to develop and construct high-performance plastic scintillators with ultraspeed response time (highlighting) and properties for nuclear radiation detectors of various purpose. Under the leadership of I.M. Rozman and K.A. Kovirzina a plastic scintillating detector SPS-T4A was developed for registration of gamma rays and fast neutrons. The Institute-developed plastic scintillators found a wide application in the ionizing radiation detectors. Participants in the works were: E.A. Andreev, B.E. Baronn, D.V. Viktorov, L.I. Karsgishvili, S.F. Kilin, E.D. Lomadze, A.T. Tsvetkova, V.M. Shonia, N.P. Elistratov and others.

Physics and Engineering of High-current Injectors and Electron and Ion Accelerators

The first high-current injector was constructed at the Institute in the late 1940s of the last century, when the works on electromagnetic separation of uranium and lithium ions were conducted under the leadership of Manfred von Ardenne and Max Steenbeck. These works initiated the development of accelerating equipment in SIPT.

In 1953 SIPT the first in the South Caucasus cyclotron began working, which allowed to accelerate deuterons and protons up to the energy of 10-20MV, with the intensity over 100mA. It was designated for research of nuclear reactions and producing radioactive isotopes in a wide range of nuclear masses. Great attention was drawn to the Institute-conducted works on the calculation of section, yield of radioactive isotopes and beta-spectrometry of atomic nuclei, in particular, the results of the measurement of

ბეტა-სპექტროსკოპიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეტად მცირე სი-
ცოცხლის ხანგრძლივობის მქონე იზო-
ტოპების ენერგეტიკული მახასიათებლე-
ბის დადგენა ბეტა-სპექტროსკოპის ციკ-
ლოტრონთან ერთობლივი ვაკუუმური
შეპირიპირების საშუალებით.

სხვადასხვა დროს შექმნილი დუაპლაზ-
მატრონები, იონების მოცულობითი და
ზედაპირული წყაროები მაღალი ინტენ-
სივობის პროტონებისა და იონების ნაკა-
დის მიღების საშუალებას იძლეოდა. (დ.
ჭკუასელი, ი. კურსანოვი, ო. პოროშინი,
ი. სკრიპალი, უ. ნიკოლაიშვილი, ა.პლუ-
ტო, ა. გევორქოვი).

სფტი-ში მაღალი სიმკვრივის დენის წყა-
როებზე და იონურ ოპტიკაში მიმდინარე
სამუშაოები პლაზმის ფიზიკის პრობ-
ლემური საკითხების ფართო განხილვის
საშუალებას იძლეოდა. მიღებულმა შე-
დეგებმა შესაძლებელი გახადა ჩამოეყა-
ლიბებინათ მაღალი სიმკვრივის დენის
პლაზმური წყაროების შექმნის ფიზი-
კური პრინციპები, რომლებმაც შემდეგ
განხორციელება ჰპოვეს დამუხტული
ნაწილაკების ამაჩქარებლებზე როგორც
სსრკ-ში, ასევე საზღვარგარეთ.

ინსტიტუტში აღნიშნული მიმართულე-
ბით სამუშაოები ინტენსიურად წარი-
მართა მაღალი ენერგიის ფიზიკის ცნო-
ბილი სპეციალისტის რევაზ სალუქვაძის
მოსვლის შემდეგ. ელექტრონების ინ-
ჟექტორის ბაზაზე ჩვენთან შეიქმნა მა-
ღალი სიმკვრივის ელექტრონული დენის
წრფივი რეზონანსული ამაჩქარებელი.
აღნიშნული ტიპის ამაჩქარებლებმა დი-
დი გამოყენება ჰპოვეს, როგორც დიდი
პროტონული სინკროტრონების ინჟექ-
ტორებმა. უკანასკნელ წლებში მათ ფარ-
თოდ იყენებენ ისეთ დარგებში, როგორი-
ცაა რადიაციული თერაპია, ნახევარგამ-
ტარული ხელსაწყოების, ლითონებისა და
სხვა კოსტრუქციული მასალების კვლე-
ვა, ქსოვილებისა და კოსმოსური ტექნი-
კის ნიმუშების ექსპერიმენტული დასხი-
ვება და ა.შ.

სფტი-ში მასალათმცოდნეობის მიმარ-

energy characteristics of short-lived isotopes
by the method of vacuum coupling of the
cyclotron with the beta-spectroscopy.

The constructed at different time
duoplasmatron ion sources, volume and
surface ion sources made it possible to
produce protons and high-intensity ions
(D. Chkuaseli, I. Kursanov, O. Poroshin,
I. Skripal', U. Nikolaishvili, A. Plyutto, A.
Gevorkov).

The works on high-current sources and ion
optics stimulated in SIPT the setting out of
a wide spectrum of research in the problems
of plasma physics. The obtained results
allowed formulating the physical principles
of the construction of high-current plasma
sources with high density of the ion emission
currents, which further found application on
the accelerators of charged particles both in
the USSR and abroad.

The works in this direction became
particularly intensive with the appearance at
the Institute of an outstanding expert in High
Energy Physics Revaz Salukvadze.

Linear high-current resonance electron
accelerators were constructed on the basis
of the electron injector. The linear resonance
accelerators found wide application as
injectors of large proton synchrotrons.
However, lately they are being successfully
applied in such areas as radiation therapy,
testing of semiconductor devices,
investigation of metals and other structural
materials, experimental irradiation of tissues
and space technology specimens, etc.

A test bench for material engineering
studies was arranged in SIPT, including two
sections of linear high-current (HC) proton
and negative hydrogen ion accelerator – the
first section with the spatially uniform HC
focusing up to the energy of 1.96 MV and the
second section with the spatially periodical
HC focusing up to the energy of 7 MV.

თულებით კვლევებისათვის შეიქმნა სტენდი, რომელიც შედგებოდა ორი სექციისაგან პროტონების მაღალსიხშირული წრფივი და წყალბადის უარყოფითი იონების ამაჩქარებლისაგან. პირველი სექცია წარმოადგენდა მაღალსიხშირულ, 1,96 მევ ენერგიამდე სივრცულად ერთგვაროვანი ფოკუსირების ამაჩქარებელს, ხოლო მეორე სექცია 7 მევ ენერგიამდე სივრცულად პერიოდული ფოკუსირების ამაჩქარებელს. აღნიშნული კვლევების დაწყების მომენტისათვის მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობდა მაღალსიხშირულ კვადრუპოლურ სისტემებში უარყოფითი იონების აჩქარების გამოცდილება. 1-1,5 მევ ენერგიამდე სხვადასხვა სახის იონების ასაჩქარებლად შემოთავაზებულ იქნა ამაჩქარებლის ორიგინალური კონსტრუქცია ნახევრად ცილინდრული რეზონატორების ბაზაზე. ასეთი ამაჩქარებელი წარმოადგენს ერთმანეთში ჩაღებულ კოაქსიალურ („მატრიოშკის“ ტიპის) ტალღის სიგრძის მეოთხედტალღოვანი რეზონატორების


By the start of investigations on the material-engineering test bench of SIPT, the world practice had no experience of negative ion acceleration in the structures with HC of quadrupole focusing. To investigate the possibilities of such structures, for the first time in the world the negative hydrogen ions were accelerated on the, up to the energy of 1.96 and 7MV and detailed studies of the parameters of these ion beams were carried out.

To accelerate different kinds of ions up the energy of 1-1.5 MV, an original design of an accelerator on the basis of semi-cylinder resonators was proposed. Such an accelerator represents a chain of inserted into one another (“matryoshka”-type) coaxial quarter-wave resonators, stuffed into independently from one another. At that, the structure had small dimensional sizes, while the power loss because of the voltage division was reduced in proportion with the number of



რ. გ. სალუქვაძე
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი, სფტი-ს
დირექტორი (1974-2000),
სახელმწიფო და
პ. მელიქიშვილის სახელობის
პრემიების ლაურეატი

R.G. Salukvadze
Academician of AS GSSR,
SIPT director (1973-2000),
Georgian SSR State Prize and
P. Melikishvili Prize Winner



სფტი-ში შექმნილი ამაჩქარებელი
ნახევრად-ცილინდრული მეოთხედტალღოვანი
რეზონატორების ბაზაზე („მატრიოშკა“)

**SIPT-developed accelerator on the basis
of semi-cylinder resonators (“Matryoshka”)**

ჯაჭვს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იკვებებოდნენ, ამასთან სტრუქტურას გააჩნდა მცირე გაბარიტული ზომები, ხოლო სიმძლავრის დანაკარგები ძაბვის გაყოფის გამო მცირდებოდა რეზონატორების რაოდენობის პროპორციულად. პირველი რეზონატორის შიდა გამტარში განთავსებული იყო ერთი ან ორღრეოიანი შემკრები, რომელიც ნაკადის აჩქარების რეჟიმში მაღალი კოეფიციენტით ჩაჭერას უზრუნველყოფდა. ნახევრადცილინდრული რეზონატორების გამოყენებით შესაძლებელი გახდა რეკორდული მახასიათებლის (10-12) მევ/მ ამჩქარებლის შექმნა. აღნიშნული იონების წყაროთაგან ერთი, რომელიც 2 მევენერგიის მაღალსიხშირული ამჩქარებლისათვის შეიქმნა, გამოიყენეს იონური ლეგიონების დანადგარისთვის. ის იძლეოდა ერთ ამჩქარებელ სტრუქტურაში 10-75 მასების ინტერვალში იონების აჩქარების საშუალებას.

ამჩქარებლების ტექნიკაში მიღწეულმა წარმატებებმა განსაზღვრეს 70-ანი წლების ბოლოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის საბჭოურ პროგრამაში სფტი-ს ჩართვა. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ამჩქარებლები „ტაიფუნი“, „ვულკანი“ და B-6F.



I-2M



**„ტაიფუნი“
«Typhoon»**



**„ვულკანი“
«Volcano»**

სფტი-ში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა ახალ ფიზიკურ პრინციპებსა და ტექნიკურ გადაწყვეტაზე დამყარებული სხივური საბორტო იარაღის შექმნის შესაძლებლობა. 1986 წელს რეიკიავიკში სსრკ-სა და აშშ-ს ლიდერების შეხვედრის შემდეგ რაკეტსაინინალმდეგო თავდაცვის პროგრამის ფარგლებში ხელი მოეწე-

ნა. The inner conductor of the first resonator contained a single- or double-gap buncher, which enabled a sufficiently high beam capture factor to the acceleration mode. With the use of semi-cylinder resonators a record-pace accelerator $(10 \div 12) \div \text{MV/m}$ was constructed. One such high-current ion source for HC 2 MV accelerator was used in the ion doping/installation plant. It allowed accelerating ions within the range of masses 10-75 by the same accelerating structure.

The number of resonators in the SCA may be rather large, although with the growth of their number the accelerator's diameter is also increased, which may lead to higher types of oscillations in additions to the general ones in large-diameter resonators.

The progress of SIPT in the development of acceleration equipment conditioned the incorporation of the Institute in the early 1970s into the Soviet SDI (Strategic Defense Initiative). Within the framework of the Program, accelerators “Typhoon”, “Volcano“, and B-6G were constructed. These accelerators were based on the concepts and technical solutions developed in SIPT during decades.

The works performed in SIPT confirmed the possibility of making of on-board nuclear weapon based on novel physical principles and technical solutions. In 1986, after the Reykjavik meeting of the USSR and USA (leaders Mikhail Gorbachov and Ronald Reagan) within the framework of the anti-

ცხრილში მოყვანილია ამაჩქარებლების ზოგიერთი პარამეტრი:
The parameters of the accelerators are given in the table below:

პარამეტრი Parameter ამაჩქარებელი Accelerator	I-2M H-2M	“Typhoon” “ტაიფუნი”	“Volcano” “ვულკანი”
კონის ენერგია,მეგ Beam energy, MV	0.02÷0.1	0.1÷0.4	1.2
დენი კონაში, კა Beam current, kA	10÷70	20÷80	1.5
იმპულსის ხანგრძლივობა, წმ Pulse duration, sec	$(1\div2)10^{-6}$	$(1\div2)10^{-6}$	$3\cdot10^{-3}$
პიკური სიმძლავრე, ვტ On-peak power, watt	10^8	10^9	10^{10}

რა ხელშეკრულებას აღნიშნული პროგრამების შეწყვეტის შესახებ.

ინსტიტუტის წამყვან სპეციალისტებს: დურმიშხან ირემაშვილს, სერგეი კურილნიკოვს, ტარიელ ოსეფაშვილს, რევაზ სალუქვაძეს, ანატოლი ტიმოშენკოს, ოლეგ უშაკოვს მიენიჭათ 1985 წლის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია პროექტისათვის: „ნანო- და მიკრონამის ხანგრძლივობის სუსტად რელატივისტური და დიდი დენების ელექტრონების ამაჩქარებლის დამუშავება 1970-1983 წლებში“.

ეს ფაქტი არის სფტი-ის სპეციალისტების დიდი ჯგუფის: დ. ჭკუასელის, ი. კირვალდიის, ა. კუჩერიავის, ა. პლუტოს, ო.

missile sub-program an Agreement on the Termination of the above-mentioned projects was signed.

For “the development of weakly relativistic high-current electron accelerators of nano- and microsecond duration and their application in special investigations” (1970-1983) a group of leading specialists (Durmishkhan Iremashvili, Sergey Kurilnikov, Tariel Osepashvili, Revaz Salukvadze, Anatoly Timoshenko, Oleg Ushakov) became the 1985 GSSR State Prize winners in science and technology.

This was acknowledgment of progress



დ. ვ. ირემაშვილი
სსრ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

D.V. Iremashvili
GSSR State Prize
winner



ტ. ა. ოსეფაშვილი
სსრ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

T.A. Osepashvili
GSSR State Prize
winner



ა. პ. ტიმოშენკო
სსრ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

A. P. Timoshenko
GSSR State Prize
winner



ო. ა. უშაკოვი
სსრ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

O.A. Ushakov
GSSR State Prize
winner

გეთიას, ტ. ოსეფაშვილის, გ. დგებუაძის, ა. შიმკოს, ვ. სუხომლინოვის, ი. უდოვიჩენკოს, ი. პავლოვას, თ. ახალაიას, ბ. ბენდელიანის, ვ. ჭანტურიძის, ა. ფაჩულიას, ნ. ოლიფერჩუკის, ნ. მარკოზიანისა და სხვ. დამსახურების აღიარება ამაჩქარებელი ტექნიკის დამუშავების დარგში.

of the work in the area of accelerating equipment of a large group of scientists and experts of different generations of SIPT: D.K. Chkuaseli, I.K. Kirvalidze, A.G. Kucheryaev, A.A. Plyutto, G.N. Dgebuadze, A.A. Shimko, Yu.G. Getia, V.A. Sukhomlinov, Yu.P. Udovichenko, Yu.A. Pavlova, T. S. Akhalaia, B. G. Bendeliani, V. G. Chanturidze, A.A. Pachulia, N.L. Oliferchuk, N.S. Markozyan, et al.

მაღალი ტექნოლოგიები სფტი-დან

High Technologies from SIPT

იზოტოპების განცალკევების ტექნოლოგია. საბჭოთა კავშირში იზოტოპების განცალკევების სამუშაოები ისტორიულად, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, 1945 წელს დაიწყო სოხუმში. მაშინ ტექნოლოგიური მიმართულების ბირთვში შედიოდნენ გერმანელი მეცნიერები. მ. არდენე, გ. ჰერცი, ჰ. ბარვიხი, ი. მოლენფორდი, კ-ფ. ზიულკე და სხვები. საბჭოთა სპეციალისტებიდან პირველები იყვნენ ი. გვერდნიშვილი, ტ. გაგუა, ქ. ორჯონიკიძე, ა. ბახტაძე, გ. თევზაძე, ვ. ასათიანი, ვ. ცხაკაია, ი. ნიკოლაევი, ე. ოზიაშვილი, ა. კარამიანი, ვ. ვლასენკო, რ. კუჩეროვი, ი. ამირხანოვი და სხვ. 1950 წლიდან სოხუმის ფტი-ში დაიწყო მხოლოდ მსუბუქი იზოტოპების (ბორი, ნახშირბადი, აზოტი, ჟანგბადი, ნეონი და სხვ.) მიღების ტექნოლოგიაზე სპეციალიზება. მათზე მოთხოვნილება, განსაკუთრებით ბორის იზოტოპებზე, მწვავედ იდგა საბჭოთა კავშირში რეაქტორების მშენებლობის ზრდასთან დაკავშირებით. B^{10} იზოტოპი ძირითადად გამოიყენება მშთანთქმელი და ე. წ. ავარიული ლეროების მასალათმარეგულირებელ კვანძებში, რომლებიც აკონტროლებენ ნეიტრონების ნაკადს რეაქტორში. იზოტოპების მიღების ბაზურ ტექნოლოგიებად მიიღეს დაბალტემპერატურული და მაღალტემპერატურული რეაქტიფიკაცია, ქიმიური იზოტოპური გაცვლა და მასური დიფუზია.

მსუბუქი ელემენტების ჯგუფზე ყურადღების ასეთი კონცენტრაციის შედეგად

The Technology of Isotopes Separation.

The works on isotope separation of isotopes in the USSR were historically, as stated above, initiated in 1946 in Sukhumi. The main core of engineering specialists made German scientists: von Ardenne, G. Hertz, H. Barwich, Zühlke, Muellenpford, and others. Out of the Soviet specialists, the pioneers were I.G. Gverdsiteli, K.G. Orjonikidze, T.A. Gagua, K. Orjonikidze, A.B. Bakhtadze F.Ya., Asatiani, V Tskhakaia, Yu.V. Nikolaev, E.A. Oziashvili, A.T. Karamyan, V.A. Vlasenko, R.Ya. Kuchеров, I.B. Amirkhanov, and others.

Since 1950, Sukhumi Institute of Physics and Technology (SIPT), out of the whole group of isotopes of heavy, mean and light masses, started to specialize exclusively on the techniques for producing light isotopes (of boron, carbhydrate, nitrogen, oxygen, neon, etc.). The need for the latter, particularly boron isotopes was especially urgent in connection with the growth of nuclear reactor industry in the USSR. B^{10} was used generally as a material for saturation rods of controls, controlling neutron flows in the reactor and in the composition of, the so-called, emergency rods. As basic techniques for producing isotopes were taken the following: rectification (low-temperature and high-temperature); chemical isotope exchange (different systems); mass-diffusion.

ფტი-ში გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა ძირითადი მსუბუქი იზოტოპების გამამდიდრებელი დანადგარების პირველი პროტოტიპები. გერმანელი სპეციალისტების ტრადიციების მემკვიდრეობის შესაბამისად ყველა სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა პრაქტიკული შედეგების მიღწევა. იმავე წლებში საფუძველი ჩაეყარა ქმედით ტრადიციებს, რაც ითვალისწინებდა მიმდინარე კვლევებისა და დამუშავების მოთხოვნილებათა სრულ თვითუზრუნველყოფას ძირითადი ფიზიკურ-ექსპერიმენტული, ვაკუუმურ-ტექნოლოგიური, ელექტროტექნიკური მოწყობილობებით, რეგისტრაციის, ანალიზის, კონტროლისა და მართვის აპარატურით, მაღალი დონის საზეინკლო და სამინანბრო სამუშაოებით. აღსანიშნავია რომ მინამბერთა უმრავლესობა საქართველოში სტაჟირებას გადიოდა სფტი-ში ა. გასპაროვის ხელმძღვანელობით. საგულისხმოა ისიც, რომ კვლევითი საქმიანობა წარმოებდა უპირატესად საკუთარი წარმოების დანადგარებსა და ხელსაწყოებზე. აღნიშნულის განხორციელების საშუალებას იძლეოდა მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების არსებობა, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ მონინავე გერმანული სამეცნიერო-ტექნიკური სკოლა. საბჭოთა კავშირში პირველი საცდელი-სამრეწველო დანადგარები მსუბუქი იზოტოპების განცალკევებისათვის და მოწყობილობები შექმნილი იქნა სფტი-ში.

1962 წელს ი. გვერდნითელის ინიციატივით საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება იზოტოპების წარმოების ყველა სამუშაოს სოხუმიდან თბილისში გადატანის შესახებ. 7 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე დაიწყო სოხუმის ფტი-ს თბილისის ფილიალის მშენებლობა. 1964 წლისათვის დასრულდა სამუშაოების პირველი რიგი და გაიშვა B^{10} იზოტოპის გამამდიდრებელი დანადგარი „ენგური“ (BF_3 -ის დაბალტემპერატურული რექტიფიკაცია). 60-წლების ბოლოს გამოიყენეს ე. წ. ქიმიური იზოტოპური გაცვლის მეთოდი (ანიზოლური მეთოდი წარმო-

As a result of such concentration on light group, the first prototypes of concentration plants for main light isotopes were constructed by the early 60s at SIPT. According to the inherited tradition of the German specialists, all the SIPT works aimed at achieving the practical result. The Institute continued the traditions of full self-sufficiency of the needs of conducted research and development work established in those years proved to be very productive: main physical, experimental, vacuum-engineering, electrical equipment, the recording, analyzing and controlling facilities, skilled mechanical, glass-blowing works, etc. (by the way, most glass- and quartz-blowers in Georgia did practical work at SIPT under the leadership of A.N. Gasparov). Researches were conducted, as mentioned above, on the plants and facilities of own production, to which the unique material and technical basis and the availability of highly skilled specialists, having undergone the most advanced at the time scientific and German technical training, greatly contributed. The first in the USSR experimental-industrial plants for production of light isotopes, the design and manufacture of which were pioneered at SIPT.

In 1962, on the initiative of I.G. Gverdtsiteli, the authorities of the USSR Ministry of Srednego Mashinostroyeniya (Minsredmash) decided to transfer all the works on isotopes production from Sukhumi to Tbilisi. The construction of a Tbilisi branch of SIPT was started on the territory of ~700 ha. By 1964 the first turn of the construction in Tbilisi was finished and the first plant “Inguri” for enriching B^{10} (low-temperature trifluoride rectification) was commissioned. In the end of 1960s, the so-called isotope exchange technique was applied (anisole process – the technology of counter-flow chemical isotope exchange between BF_3 in gaseous phase and its complex compound with the organic complexing agent in liquid – anisole, on the



ადგენს საპირისპიროდ მიმდინარე ქიმიურ იზოტოპურ გაცვლას გაზის ფაზაში არსებულ BF_3 -სა და სითხის მდგომარეობაში არსებულ ორგანული კომპლექსების წარმოქმნელ ანიზოლს შორის, რის საფუძველზე ამჟამადაც ხორციელდება გამაცალკავებელ კოლონებში ბორის იზოტოპების განცალკება).

მსუბუქი ელემენტების სტაბილური იზოტოპების წარმოების ორგანიზაციისა და რიგი მნიშვნელოვანი ტექნიკური და ტექნოლოგიური შედეგების მიღებისათვის წამყვანი სპეციალისტების ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. ესენი იყვნენ ა. ბახტაძე, ქ. ორჯონიკიძე, გ. თევზაძე, ე. ოზიაშვილი, ფ. ასათიანი. ისინი იდგნენ სფტი-ში იზოტოპების მიღების სათავეებთან და გააგრძელეს თავიანთი მოღვაწეობა თბილისში, სტაბილური იზოტოპების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

მოკლე ვადებში თბილისის ფილიალი იქცა დამოუკიდებელ ორგანიზაციად. სტაბილური იზოტოპების კვლევითი ინსტიტუტის პირველ დირექტორად დაინიშნა ტ. გაგუა. ამჟამად არსებული მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი საყოველთაოდ არის ცნობილი. მსოფლიოში ის ლიდერია სტაბილური იზოტოპების წარმოებაში. ამჟამად მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრს ხელმძღვა-

basis of which the risers implementing the separation of boron isotopes.

SIPT's key personnel: A.B.Bahtadze, K.G.Ordzhonikidze, G.A.Tevzadze, E.D.Oziashvili, V.Ya.Asatiani participating from the very first stages in isotopes obtaining under SIPT, continuing their activities in Tbilisi Institute of Stable Isotopes (ISI) were awarded the USSR State Prize for organizing the production of element stable isotopes and obtaining number of significant technical and technological results.

Soon Tbilisi branch became an independent organization – Tbilisi Institute of Stable Isotopes (ISI), and T.A. Gagua was appointed its first director. At present ISI is the National High Technology Center – the world-known enterprise, world leader in the production of stable isotopes, headed by Doctor of Physical and Mathematical Sciences G.G. Esadze. A great contribution to the formation of the Institute was made by the scientists and engineers of SIPT – I.G. Gverdtseteli, P.V. Chelidze, T.A. Gagua, G.A. Tevzadze, A.B. Bakhtadze, T.G. Abzianidze, G.S. Karumidze, N.K. Tsikoria, Yu.V. Nikolaev, B. Mskhalaia, K.G. Orjonikidze, E.D.



ფ. ი. ასათიანი
ტექნ. მეცნ. დოქ-
ტორი,
სსრკ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

P.Ya. Asatiani
Dr. techn. Sciences,
Ph.D., Laureate of the
USSR State Prize



ე. დ. ოზიაშვილი
ქიმიურ მეცნ. დოქ-
ტორი,
სსრკ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

E.D.Oziashvili
Dr. chem. Sciences,
Laureate of the
USSR State Prize



გ. ა. თევზაძე
ტექნ. მეცნ. დოქ-
ტორი,
სსრკ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

G.A.Tevzadze
Dr. techn. Sciences,
Laureate of the USSR
State Prize



ა.ბ. ბახტაძე
ტექნ. მეცნ. დოქ-
ტორი,
სსრკ სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

A.B.Bahtadze
Dr. techn. Sciences,
Laureate of the
USSR State Prize

ნელობს ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი გიორგი ესაძე. ინსტიტუტის გაშლასა და განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სფტი-ს მეცნიერებმა და ტექნიკურმა თანამშრომლებმა: ი. გვერდნითელი, პ. ჭელიძე, ტ. გაგუა, გ. თევზაძე, ა. ბახტაძე, თ. აბზიანიძე, გ. ქარუმიძე, ნ. ცქირია, ი. ნიკოლაევი, ბ. მსხალაია, ქ. ორჯონიკიძე, ე. ოზიაშვილი, ა. ქარუმიძე, პ. ასათიანი, ა. გულდამაშვილი, შ. კობალაძე, ვ. ხაჩიშვილი, გ. ფირცხალაიშვილი, ფ. კამინსკი, ა. კუძიევი, გ. ტყეშელაშვილი, გ. კალანდაძე და სხვ. მრავალი მათგანი სამუშაოდ დარჩა თბილისში და მონაწილეობდა უნიკალური ინსტიტუტის შემდგომ ზრდასა და განვითარებაში.

კრიოვაკუუმური ტექნოლოგია. პლაზმის ფიზიკის, ბირთვული, კოსმოსური თუ სფტი-ში დამუშავებული სხვადასხვა კვლევებისათვის საჭირო დანადგარები მოითხოვდა მაღალი ხარისხის ვაკუუმის მიღებისა და მისი ხანგრძლივად შენარჩუნების აუცილებლობას ნახშირწყლების შემცველი მინარევების გარეშე. აღნიშნულ დანადგარებისადმი წაყენებული საექსპლუატაციო მოთხოვნები მეტად მკაცრი იყო: მუშაობა გაზების დიდი დატვირთვის, მძლავრი ელექტრომაგნიტური გამოსხივების, მაღალი რა-

Oziashvili, A.A. Kuchukhidze, P. Ya. Asatiani, A.I. Guldamashvili, M.A. Kobaladze, V.I. Khachishvili, G.P. Partskhalashvili, V.A. Kaminski, A. Kudziev, G.I. Tkeshelashvili, G.N. Kalandadze, and others. Many of them remained to work in Tbilisi and contributed thus to further growth and formation of the unique institute.

Cryogenic Vacuum Technology. Developments of SIPT in the area of plasma physics, installations for space and thermonuclear research, accelerating equipment, thermal physical and technological equipment required the availability of pumping facilities and maintenance of carbon-free fine vacuum. Additionally, these systems were to meet the strict service conditions: large gas loads, the presence of powerful electromagnetic fields, the impact of powerful radiation background,



CCP-8D
Cryopump CCP-8D



CCP-10D
Cryopump CCP-10D

კრიოტუმბოს პარამეტრები Cryogenic pump parameters	CCP-8D	CCP-10D
შემაველი მილტუჩა პარამეტრი, მმ Bushing holder's size, mm	500	630
ქაჩვის სიჩქარე, მ ³ /წმ Pumping speed, m ³ /s	8	10
მაქსიმალური მიღწევადი ვაკუუმი, პა Maximum allowed vacuum, Pa	$1 \cdot 10^{-11}$	$1 \cdot 10^{-11}$
მუშა წნევა, პა Working pressure, Pa	$10^{-3} - 10^{-10}$	$10^{-3} - 10^{-10}$
მაცივარაგენტი Refrigerant	LHe	LHe
მაცივარაგენტის ხარჯი, ლ/დღე-ღამე Refrigerant consumption, l/day	80	90
ასა, კგ Weight, kg	45	55

დიაციული ფონის, ამოტუმბვის მაღალი სიჩქარეებისა და ა.შ. პირობებში, რამაც განაპირობა კრიოგენული ვაკუუმური სისტემების უალტერნატივოება და კრიოვაკუუმური ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება სფტი-ში.

აღნიშნული ტექნოლოგიების განვითარებას ხელი შეუწყო ინსტიტუტში არსებულმა მძლავრმა კრიოგენულმა უბანმა, რომელიც აკადემიკოს პეტრე კაპიცას ინიციატივითა და უკრაინის სსრ ხარკოვის დაბალი ტემპერატურების ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ტექნიკური ხელშეწყობით შეიქმნა. კრიოგენული უბანი, რომელსაც სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ ლ. პოლუნინი, ს. კაკულია, ნ. ფანგანი, ზ. კერვალაძე,

the necessity of high pump speeds, etc. The conduct of investigations (research) for solving this task confirmed the necessity of cryogenic vacuum pumping facilities and started the development of cryogenic vacuum technology in SIPT.

The development of this field was contributed by the presence in the Institute of a powerful cryogenic section set up on the initiative of the Academician Pyotr Kapitsa as far back as the 50s with the technical assistance of Kharkov Institute for Low Temperature Physics and Engineering of the Ukrainian SSR Academy of Sciences. This section, headed in different years by L.P. Palunin,

მთლიანად უზრუნველყოფდა თხევადი ჟანგბადით, ჰელიუმით, წყალბადითა და არგონით ინსტიტუტისა და დასავლეთ საქართველოს მოთხოვნილებებს.

თხევად ჰელიუმზე მომუშავე პირველი ექსპერიმენტული კრიოგენული ტუმბოს CCP-8D-ს ტესტირება ჩატარდა ამაჩქარებელზე და შემდგომში მთლიანად შევიდა ამაჩქარებელ „ვულკან“-ის კომპლექტში. კრიოტუმბო დამზადებული იყო ტიტანისაგან, ხოლო მისი მუშა ზედაპირის სორბციული თვისებების გასააქტიურებლად გამოიყენებოდა ინსტიტუტში დამუშავებული ვაკუუმური დაფენის ტექნოლოგია.

ტუმბოების პარტია გაეგზავნა ნოვოსიბირსკის ბირთვული კვლევების ინსტიტუტს. მოგვიანებით ინსტიტუტში შეიქმნა უფრო მძლავრი კრიოტუმბო CCP-10D, რომელიც მაღალი ვაკუუმით უზრუნველყოფდა სპეცდანიშნულების ამაჩქარებელ კომპლექსს „Б-6Г“.

შემდგომში ნომენკლატურა გაფართოვდა, დაპროექტდა და შეიქმნა კრიოტუმბოები თხევად აზოტზე (CSP-0,5D, CSP-8D და სხვ.), რომელთაგან CSP-0,5D სერიის ტუმბოები გაიგზავნა სანარმოო გაერთიანება „ორიონ“-ში (ქ.მოსკოვი) და ჩართული იქნა ფირების ვაკუუმური დაფენის კომპლექსში.

კრიოტუმბოების შექმნას წინ უძღოდა გ. დგებუაძის ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევები მასალების თბოფიზიკური თვისებების, რადიაციამდეგობისა

S.V. Kakulia, N.S. Fangani, Z.K. Kervalidze, fully met the Institute's and the entire West Georgia's liquefied (nitrogen, helium, oxygen) requirement.

The first experimental cryogenic pump CCP-8D of liquid helium was tested on the accelerator, becoming later a component of the “Volcano” accelerator set. The cryogenic pump was completely made of titanium, while for producing a developed sorption active area of large capacity the vacuum deposition technology developed in the Institute was used.

A consignment of these pumps was forwarded to the Novosibirsk Institute of Nuclear Physics. Later on, the institute developed a cryogenic pump CCP-10D with higher performance ensuring pumping of the set on the accelerating installation of special designation “B-6G”. Some parameters of these pumps are given in the Table below.

Later on the nomenclature was widened; cryogenic pumps on liquid nitrogen (CSP-0.5D, CSP-8D, etc.) were designed and manufactured. A series of cryogenic pumps CSP-0.5D on liquid nitrogen was sent to the “Orion” Research and Production Association (Moscow), where it was incorporated in the operation of the set of vacuum layering.

The manufacture of cryogenic pumps was preceded by the investigations of thermal

ჩამკეტები

Shutters



БШЗ-80

BSHZ-80



E3III-100

BSHZ-100

და საინჟინრო გათვლები თბოიზოლაციური მახასიათებლების შესახებ, რომელთა უმრავლესობა საავტორო უფლებებითაა დაცული.

ინსტიტუტში შეიქმნა ასევე სწრაფი ქმედების ვაკუუმური ჩამკეტები, რომლებიც ვაკუუმური სისტემების გეგმიურ და ავარიულ სიტუაციებში გაჩერებისას უზრუნველყოფდა ვაკუუმური სისტემების პერმეტულობას.

physical properties of materials, studying their radiation resistance, engineering calculations of thermal insulation, which were conducted by a group of specialists under the leadership of G.N. Dgebuadze. Most of these developments were patented.

SIPT also developed fast shutters ensuring thermicity of vacuum systems upon scheduled outage and emergency shutdowns of high-vacuum plants.


